ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

პარასკევი, 24 მარტი, 2017 №70 (7305) ფასი: 50 თეთრი

„ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ საქართველო გააღარიბა“

გვ.5

24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

ორსულობა და მშობიარობა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

რატომ მივიდა კვირიკაშვილი უშიშროების საბჭოს სხდომაზე

გვ.4

გია ხუხაშვილი: “ირაკლი კობახიძე სუსტი ადამიანია“

ზოთა მალაშხია: „თუ კვირიკაშვილი და წულუკიანი გაუშვეს, ამას თავისი ახსნა ექნება“

გვ.3

„იმდენი უმწვავესი პრობლემაა დაგროვილი, რომ სად და როგორ იჩენს თავს, არავინ იცის“

რუსთავი 2-მა ყარამანაშვილებს უარი უთხრა

გვ.4

„40% არ გვინდა, ტელეკომპანია „საქართველო“ მოგვეცით“

გვ.2

რუსუდან კერვალიშვილი: „ვახტანგი ისე ცუდად არის, ახლა მაიაზეც კი ვერ ვფიქრობ“

გვ.3

სოსო ცისკარიშვილი: „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება“



ლევან როსტოშვილს 8 წელი, ლაშა კურტანიძეს კი 5 წელი მიესაჯათ

სინოდის წევრები არ დაიკითხებიან

გვ.7

კანიბალიზმის საქმეზე პროკურატურამ კიდევ ერთი პირი დააკავა

„ლარის გამყარება ფულის მასის შემცირებამ გამოიწვია“

პაატა შეშელიძე: „ორთაჭალაში მთავრობის გადატანა ახალი იდეა არ არის“

„გარევაჭრობას ცივილიზებული ფორმა უნდა მიეცეს“

გვ.6

ქვეითი ინსპექტორები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ

ISSN 1987-9385

რუსუდან კერვალიშვილი: „ვახტანგი ისე ცუდად არის, ახლა მაიაზეც კი ვერ ვფიქრობ“

ნათია ხურცილავა

ვახტანგ რჩეულიშვილი პალიატიური მედიცინის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვახტანგ რჩეულიშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ქალბატონო რუსუდან, რა მდგომარეობაა ბატონ ვახტანგთან დაკავშირებით, სად იმყოფება ახლა?

– ახლა ჩვენ კლინიკაში ვართ. დაახლოებით პირველი მარტისთვის საერთო სისუსტე დაეწყო, თუმცა მანამდეც ჯანმრთელობის მხრივ კარგად არ იყო. მაიას მდგომარეობის შემდეგ დღითიდღე უარესად იყო. ვახტანგის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან გართულდა. ბოლოს ამ ყველაფერს თან დაერთო ძალიან ძლიერი წელის ტკივილები, რის გამოც მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევები ჩაიტარა და რამდენიმე მეტასტაზი აღმოაჩნდა.

პირველადი კერის დადგენის პროცესში, რათა მკურნალობის სტრატეგია განსაზღვრულიყო, ბიოფსია გაუკეთდა, თუმცა შეუძლებელი გახდა პირველადი კერის დადგენა. ამ პროცესში ვიყავით, როდესაც სრულიად მოულოდნელად დაკარგა კონტაქტურობა და ერთბაშად გართულდა მდგომარეობა.

– როდის გართულდა მდგომარეობა?

– ორშაბათ საღამოს უკვე ძალიან მძიმედ იყო. ელვის სისწრაფით განვითარდა პროცესი. გუშინ საერთოდ არ იყო კონტაქტური. ძალიან ძლიერი შფოთვა და ეიფორია ჰქონდა. ჩემთვის ახლა მნიშვნელოვანია, რომ ამ წუთში არ იტანჯება. მეტს არაფერს ვთხოვ ღმერთს. ახლა მთავარი ეს არის ჩემთვის. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ტკივილგამაყუჩებლების ფონზეა, მაგრამ მაინც არ იტანჯება.

– მისმა მეუღლემ მაია რჩეულიშვილმა თუ იცის ამ მდგომარეობის შესახებ?

– არა, მაიამ არაფერი იცის. ორშაბათს იყო ეკა ხოფერიას ტოკშოუში ვახტანგი. გადაცემის ჩაწერა ჰქონდა. ფიზიკური ძალების სრული მობილიზება მოახდინა და ისე წავიდა გადაცემის ჩაწერაზე, კარგად არ იყო.

– თუმცა, არაფერი ეტყობოდა, ინტერვიუში ამბობს, რომ გარკვეული მანიპულაცია ჩაუტარდა.

– დიახ, რომ მიდიოდა, ყველაფერი იცოდა, ერთ დღეს მოხდა ეს ყველაფერი. მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინა, სტუდიიდან გამოსული უკვე ცუდად გამხდარა. მძღოლმა გვითხრა, რომ გამოვიდა, მეტყველება დაერღვა. ამიტომ პირველი, რაც გააკეთეს საავადმყოფოში მიყვანისთანავე, თავის ტვინი გადაუღეს, რომ დაედგინათ, რა მოხდა, გაჟონვა ხომ არ იყო. ერთბაშად განვითარდა, უცებ მოხდა ეს ყველაფერი. იმდენად მოულოდნელი იყო, არ ვიცი, შეკავებული სტრესი გახდა მიზეზი თუ რა, ვერაფერს გეტყვით.

ძალიან ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს, ეს ტანჯვა, ბოლოს და ბოლოს, უცებ რომ გაიგო საშინელი დიაგნოზი, ამანაც, როგორც ჩანს, იმოქმედა. ყველაფერი დაგროვდა და ერთბაშად აფეთქდა.

განსაკუთრებით ელოდებოდა 21 მარტს, რადგან ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ინვესტორს უნდა შეხვედროდა, რომელსაც ამ საქმის ბედი უნდა გადაეწყვიტა.

– გაიმართა შეხვედრა?

– არა, ვერ შეხვდა. კლინიკაში უგონო მდგომარეობაშია, რაზეა საერთოდ საუბარი.

– „ცენტრ-პოინტის“ საქმის ირგვლივ არის სიახლე?

– არა, ახლა ვერაფერზე ვფიქრობ. სიმართლე გითხრათ, ახლა მაიაზეც კი ვერ ვფიქრობ, ვერაფერზე ვერ ვფიქრობ. ამ წუთში, როდესაც ადამიანი რეანიმაციაშია, საუბარია მხოლოდ მის სიცოცხლეზე.

* * *

კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ექიმი ცისმარ ალადაშვილი:

– ამ დროისთვის ბატონი ვახტანგის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ის რჩება სამედიცინო კლინიკაში, მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. რაც შეეხება დიაგნოზს, საკმაოდ რთული დიაგნოზია. ნანახია მრავლობითი მეორადი დაზიანებები, რაც მეტასტაზურ დაზიანებას შეესაბამება, რომელიც ვრცელდება მუცლის ქრონიკული დაავადების ფონზე.

ადგილი აქვს სიმსივნეს. ამან შექმნა მდგომარეობა, რომელიც მეტაბოლურ დარღვევებსა და აქედან გამოწვეულ ენცეფალოპატიას შეესაბამება. მდგომარეობა მძიმეა, კლინიკურად რთული სურათია, თუმცა – ამ დროისთვის მართვადი.

ვახტანგ ხმალაძე: „საკონსტიტუციო კომისიაში ორ საკითხზე შეთანხმდნენ“



ექსპერტ ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, საკონსტიტუციო კომისიაში შეთანხმდნენ ორ საკითხზე: პარლამენტის მიერ მთავრობის უნდობლობის პროცედურასა და მთავრობის მიერ საკანონმდებლო ორგანოსთვის ნდობის გამოცხადებაზე.

მისი აზრით, ეს ერთ-ერთი წარმატებული შეთანხმებაა.

იდეის თანახმად, პარლამენტის დეპუტატების კონსტიტუციით განსაზღვრულმა რაოდენობამ, რომელიც მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებს, უნდა წარუდგინოს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, მან კი – სავარაუდო მინისტრები.

– თუ პარლამენტის წევრთა კონსტიტუციურად განსაზღვრული რაოდენობა მიიჩნევს, რომ უნდობლობა უნდა გამოუცხადოს მთავრობას, ის სვამს საკითხს უნდობლობის გამოცხადების თაობაზე. იმავე დროს, ის ასახელებს ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

ამ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც, თუ სწორად მახსოვს, სამ კვირას არ აღემატება, უნდა წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობა და პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას. თუ ნდობა არ გამოუცხადა, რჩება ძველი მთავრობა, – განმარტა ხმალაძემ.

ვინც მოინდომა უნდობლობის გამოცხადება, 6 თვის განმავლობაში ამ საკითხს ვეღარ დასვამს. თუკი პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას უმრავლესობით, მაშინ მთავრობა გადამდგარად ითვლება და მოვა ახალი მთავრობა.

– ეს პოლიტიკური კრიზისის პერიოდი არის ხანმოკლე. მე რა ვადაც გითხარით, ესაა მაქსიმალური ვადა და ეს შეიძლება, უფრო ადრე დამთავრდეს, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

მისი თქმით, 2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურით პარლამენტს შეუძლია მთავრობის შანტაჟირება. საკონსტიტუციო კომისიის წევრის თქმით, ამ შეთანხმებით ეს გასწორებულია.

ამ მოდელის შეტანა პარლამენტში სამართლიანი იქნება, თუკი საპარლამენტო არჩევნები სრულიად გადავა პროპორციულ წესზე.

– ეს ყველაფერი იქნება სამართლიანი და ოპტიმალური. თუ პარლამენტის არჩევის წესი უზრუნველყოფს პროპორციულ წარმომადგენლობას, ანუ, ის, ვისაც მხარს უჭერს 20%, მან უნდა მიიღოს მანდატების 20%, – თქვა ხმალაძემ.

მან ასევე განაცხადა, რომ მთავრობასაც ექნება ნდობის საკითხის გამოცხადების შესაძლებლობა.

მედიანიუსი

ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა იწყება

– ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა იწყება, სადაც, პრაქტიკულად, ყველა სამინისტრო განთავსდება, ერთეული გამონაკლისის გარდა, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული ქალაქის მშენებლობისთვის გამოყოფილია საკმაოდ დიდი ტერიტორია.

– მმართველობითი რეფორმის ფარგლებში ორთაჭალაში უკვე დაწყებულია ერთიანი მომსახურეობის ოფისის შექმნის პროექტი. გადავწყვიტეთ, რომ მომსახურეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით ორთაჭალაში იმ ადგილის გვერდით, სადაც ხორციელდება ბიზნესსახლის პროექტი, გავაკეთოთ სამთავრობო ქალაქის პროექტი.

ძალიან დიდი ტერიტორია გამოიყო ამისთვის, სადაც განხორციელდება სამინისტროების გადატანა. რაც, ერთი მხრივ, იქნება ძალიან კარგი, რადგან ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი საოფისე თუ სასტუმროსთვის სივრცე გამოთავისუფლდება, მეორე მხრივ კი, წახალისდება სამშენებლო სექტორი.

მოცულობითი სივრცის აშენება იგეგმება, სადაც არაერთი სამინისტრო განთავსდება. ორთაჭალის იმ უბანში პრაქტიკულად ყველა სამინისტრო მოიყრის თავს, ერთეული გამონაკლისის გარდა, რაც, პრაქტიკულად, უზრუნველყოფს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის ფიზიკური მომსახურეობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას. მნიშვნელოვანი პროექტია და მე მივესალმები ამ პროექტის დაწყებას, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მედიანიუსი

საქართველოს ბერლინის კედლის ნაწილი გადაეცა

გერმანიაში საქართველოს ელჩ ლადო ჭანტურიას ინფორმაციით, ქართულ-გერმანული წლის ფარგლებში საქართველოს სიმბოლურად ბერლინის კედლის ნაწილი გადაეცა.

როგორც ლადო ჭანტურიამ ტელეკომპანია „იმედთან“ საუბარში განაცხადა, ბერლინში საქართველოს პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის დროს მას გადაეცა ბერლინის კედლის ერთი ნაწილი, რომლის საქართველოში გაგზავნის პროცედურა 23 მარტს დასრულდა.

მისივე თქმით, კედლის მეორე სეგმენტი გერმანელებმა დაბა ჯვარს გადასცეს, რომელიც აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარეობს და ქართველი ელჩის მშობლიური ქალაქია.

– ბერლინის კედლის დანგრევამ წარმოშვა იმედი იმისა, რომ ხელოვნურად აღმართული არცერთი საოკუპაციო კედელი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთს აშორებს, არ დარჩება მუდმივად. ამიტომ ბერლინის კედელმა თავისუფლების სიმბოლოს ფუნქცია შეიძინა, ხოლო ბერლინის კედლის ნაწილებმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში დაიდეს ბინა.

ბერლინის მსგავსად, საქართველოშიც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გვაქვს საოკუპაციო კედლები, რომლებიც აუცილებლად დაინგრევა. ბერლინის კედელი ამის თვალსაჩინო სიმბოლოა„ – განაცხადა საქართველოს ელჩმა გერმანიაში ლადო ჭანტურიამ.

მედიანიუსი

სააკაშვილი: „არასამთავრობოები რუსული ფულით მებრძოდნენ“

საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2005 წელს ვლადიმირ პუტინმა ამერიკელი პიარსპეციალისტი დაიქირავა, რომელსაც სააკაშვილის წინააღმდეგ „მუშაობა“ დაავალა.

როგორც სააკაშვილმა ფეისბუქში პირად გვერდზე დაწერა, ამისთვის პოლ მანაფორტი თურმე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს იყენებდა.

– მთელი მსოფლიო პრესა აჭრელდა ინფორმაციით, რომ 2005 წელს პუტინმა იქირავა ცნობილი ამერიკელი პიარსპეციალისტი პოლ მანაფორტი და მას, სხვა საქმეებთან ერთად, დაავალა ჩემ წინააღმდეგ მუშაობა საქართველოში, რისთვისაც ეს უკანასკნელი თურმე ქართულ არასამთავრობოებს იყენებდა. ახლა კი გასაგებია, თუ რატომ გვესხმოდა თავს მაშინ ყველა არასამთავრობო და რატომ არ იღებენ ხმას დღევანდელ მარაზმზე. ფული, ბაბაია, დიდი ფული (თან, ჰოი საკვირველებავ, რუსული), – წერს სააკაშვილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ცისკარიშვილი: „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება“

რა გვინდა – კონსტიტუცია ყველასთვის თუ კონსტიტუცია ბიძინასთვის?!

ნონა ცაბაძე

პრეზიდენტსა და უმრავლესობას შორის არსებული დაპირისპირების შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** ესაუბრება.

– ბატონო სოსო, „ოცნების“ დეპუტატებს პრეზიდენტთან დასაპირისპირებლად მიზეზი არ ელევათ. არც პრეზიდენტი ულევს ამის საბაბსო. რა ხდება, რატომ გამწვავდა ასე ურთიერთობა ამ ორ შტოს შორის?

– „ქართული ოცნების“ ასეთი დამოკიდებულება პრეზიდენტისა და მისი ინსტიტუტის მიმართ არახალია, თუმცა უზნეობით უნდა შეფასდეს უკვე ფრაზები, რომლებსაც პარლამენტის 10-12-კაციანი ზონდერჯგუფი ისვრის პრეზიდენტის მიმართულებით. ძნელად გამოსაცნობი არ არის, ვინ წვრთნის ამ გუნდს, რადგან ჩვენ უკვე მეოთხე წელიწადია, მოწმენი ვართ იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ ექვემდებარება ვინმეს მიერ მის პრივატიზაციას.

– ხედავთ ამის სურვილს, რომ პრეზიდენტის პრივატიზაცია მოხდეს?

– რასაკვირველია. ერთი რიგითი მოქალაქის მთავარი ოცნება არ ასრულდა და მან იღლიაში ვერ ამოიდო პრეზიდენტის ინსტიტუტი. უახლოეს დღეებში, პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის დროს იქნება ფრაქციების გამოსვლებიც. აბა, იქ ნახეთ, რა ამბავი დატრიალდება და რა ტერმინოლოგიის მომსწრენი გავხდებით.

– სერიოზული დაძაბულობა იქნება?

– რასაკვირველია! ამას დაძაბულობა არ ჰქვია. ამას ჰქვია სახელმწიფოს სირცხვილი, რომელიც ჩრდილო მეზობლის დედაქალაქშია დაგეგმილი! დღეს ჩვენი პრეზიდენტი, ეს ინსტიტუტი, ისევე, როგორც სახალხო დამცველი, არის სრულიად დამოუკიდებელი და ამას ვერ ეგუება მავანი. ასეთი ბოღმის ტალღები აზვირთდა მას შემდეგ, რაც ბატონმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ხალხისთვის ეკითხა, როგორი კონსტიტუცია სურდათ.

– ამან გაანაწყენა უმრავლესობა?

– გაანაწყენა კი არა, სრულიად გაავებულნი არიან. აქედან გამოსავალს ვხედავ მხოლოდ იმაში, რომ საქართველოში ჩატარდეს საყოველთაო რეფერენდუმი ერთი კითხვით – როგორი კონსტიტუცია გირჩევნიათ? პირველი: კონსტიტუცია ყველასთვის თუ მეორე: კონსტიტუცია – ბიძინასთვის?! ეს იქნება სწორედ ჩვენი საზოგადოებისთვის საშუალება, რომ იყვნენ აქტიურნი ამ პროცესში.

– ახლა როგორ კონსტიტუციას ვიღებთ? კონსტიტუციას ბიძინასთვის?

– სწორედ ამაშია საქმე. ჩვენი პარლამენტის სპიკერი ვერც კი გაბედავს, რომ სხვა სივრცეში მზერა ისროლოს. მას ასეთი დავალება გააჩნია, სხვაგვარად ვერ აიხსნება მუქარა პრეზიდენტზე, რომ შენ თუ იმას იტყვი, რაც ჩემი „პირადი ღმერთის“ სმენას არ დააკმაყოფილებს, მაშინ შევცვლით თარიღს და ახლავე ჩავატარებთ პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევნებს.

– ანუ ეს არის შანტაჟის ენა?

– არც უმაგისობაა, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ შემცვლელი დღევანდელი პრეზიდენტისა ჩვენი ქვეყნის კადრებთუხუცესს უკვე დაანონსებული აქვს.

– ვინ იქნება?

– ერთი რიგითი მოქალაქის მიერ შერჩეული, მისი ყველაზე სანდო პირი ბატონი ღარიბაშვილია. აი, მაშინ ყველაფერი დამშვიდდება და საქართველო გაბრწყინდება.

– თქვენ ელოდებით, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება?

– ამაზე სიტყვის წამოცდენას უკვე ჰქონდა ადგილი, რასაც თავის დროზე არ მიექცა ყურადღება, მაგრამ, ცხადია, რომ ნებისმიერი სახით ჩატარებული არჩევნები იქნება სერიოზული ზეწოლის შედეგი იმ ადამიანებზე, რომლებსაც მონური დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ქვეყნის ერთ რიგით მოქალაქესთან.

– პრეზიდენტი ცდილობს, პარლამენტარებს დაგვიწეროს კანონიო, აცხადებს ეკა ბესელია. რამდენად აქვს პრეზიდენტს მცდელობა, დაეხმაროს პარლამენტს კანონების წერაში?

– არ მაქვს იმის საშუალება, რომ ამ თემაზე ვისაუბრო ქალბატონ ეკასთან, მაგრამ ის, რასაც ვხედავ და ვისმენ ეკრანიდან, ჩემთვის არადამაჯერებელია და არის მხოლოდ ნაწილი იმ სტრატეგიისა, რომლის გატარების გარეშე, დიდი ალბათობით, დავალებავერშესრულებული პარლამენტარები დარჩებიან უმუშევრები. ამას კი ყველა გაურბის.

– პრეზიდენტის ასეთი აქტიურობა საზოგადოების ნაწილმა საარჩევნო კამპანიის დასაწყისად ჩათვალა. მართლა ამიტომ არის მარგველაშვილი ასეთი აქტიური?

– ასეც რომ იყოს, ამაში დასაძრახი რა არის?! უბრალოდ, ეს არის გულზე გამხეთქი პროექტი მათთვის, ვისაც ევალება, რომ არსებული პრეზიდენტის ვადა არასოდეს იქნეს გაგრძელებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს დააბრალონ, რაც მათ დაემართებათ.

შოთა მალაშხია: „თუ კვირიკაშვილი და წულუკიანი გაუშვეს, ამას თავისი ახსნა ექნება“

„იმდენი უმწვავესი პრობლემაა დაგროვილი, რომ სად და როგორ იჩენს თავს, არავინ იცის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას** ესაუბრა.

– არაოფიციალური ინფორმაციით, პრემიერ კვირიკაშვილი მალე ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს და მას მიჰყვება იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. თუ ასე მოხდა, რით აიხსნება?

– არ არის გამორიცხული, რომ ასეც მოხდეს. ყველაფერი იქნება ისე, როგორც ივანიშვილი გადაწყვეტს. მან ქვეყანა გადააქცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, საკუთარი მომსახურების ბიუროდ. ყველა მას ემსახურება და პატრონის გარეშე არაფერს წყვეტს, მაგრამ ხანდახან დგება თანამდებობის პირების შეცვლის დრო.

– კვირიკაშვილი, შეიძლება, განტევების ვაცი აღმოჩნდეს?

– სავსებით შესაძლებელია. კვირიკაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ არ წასულა. არც წულუკიანს გადაუდგამს დამოუკიდებელი ნაბიჯი. მან 9 მოსამართლეს მიაღებინა ის გადაწყვეტილება, რომელიც მის პატრონს უნდოდა რუსთავი 2-ის თაობაზე. სტრასბურში ის ვერაფერს გახდა. ქვეყანაში უამრავი პრობლემაა. რუსეთი გათავხედებულია და ახალ აგრესიას ახორციელებს. დამტკიცდა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაც არასწორად იყო ჩაფიქრებული. ბოლო დროს ხალხს ამ მხრივაც შეუქმნეს პრობლემები.

– ის თავიდანვე მიზნობრივი უნდა ყოფილიყო?

– რასაკვირველია. ჩვენს დროს ასეთი ორიენტირი არსებობდა. საჭირო იყო ჯანდაცვის პროგრამის გაფართოება. ისიც გაირკვა, რომ წინა ხელისუფლების დროს დაგეგმილი შემოვლითი რკინიგზაც სწორი ყოფილა, ლაზიკაც და ინვესტიციებზე აქცენტის გაკეთებაც!

– ინვესტიციები ახლაც აქტუალურია.

– ინვესტიციები არ შემოდის. ლარის კურსი არასტაბილურია. ლარი გაუფასურდა, პენსიები და ხელფასები შემცირებულია, სამუშაო ადგილებიც იკლებს. ამას ხალხი საკუთარ თავზე გრძნობს. ადამიანებს ყელში ამოუვიდათ 9-წლიანი პერიოდის ძახილი. ვთქვათ, ნაციონალური მოძრაობა ცუდი იყო. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამაზე 5 წელიწადი უნდა იყვირო, თან ისე, რომ არაფერი აკეთო და ქვეყანა უკან წაიყვანო? ეგ კი არა, ხელისუფლება მოსამართლეებს ქრთამს ბიუჯეტიდან უხდის.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ნაზღაიძის სკანდალი. ივანიშვილი პოლიტიკაში რომ შემოვიდა, რამდენიმე პარტიას მისცა ფული. ეს მან საკუთარი ჯიბიდან მაინც გააკეთა. რუსთავი 2-ის მოსამართლე ნაზღაიძის ოჯახის წევრს ქრთამი გადაუხადეს დედაქალაქის ბიუჯეტიდან ანუ ჩვენი ჯიბიდან. ამ კორუფციულ გარიგებაში ჩართეს არა მარტო მერია, საკრებულო და სასამართლო, არამედ პარლამენტი, ეკონომიკის სამინისტრო და არასამთავრობო სექტორი. ყველა ჩართულია მომსახურების ბიუროში. ბიუროს გარეთ არის პრეზიდენტი.

– მის ბოლოდროინდელ აქტიურობას როგორ შეაფასებთ?

– ეტყობა, გიორგი მარგველაშვილმა თავისი უფლებამოსილების ბოლო წელს გადაწყვიტა გააქტიურება. მანამდე მისი საქმიანობა უღიმღამო იყო. პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც, ფაქტობრივად, ივანიშვილის მიერ დაარსებული შპს-ს ხელმძღვანელია, პრეზიდენტს უცნაურად დაესხა თავს. მან პრეზიდენტს, პრაქტიკულად, უთხრა, რომ თუ არ გაჩერდება, პრეზიდენტის უფლებებს უფრო ადრე შეკვეცენ და შეუმცირებენ არეალს. ამის მერე ჩვენ სახელმწიფო ვართ? გვიმტკიცებენ, რომ რუსთავი 2-ზე ერთმანეთს ორი კერძო პირი ედავება. მაშინ რა უნდოდა სტრასბურში საგარეო საქმეთა მინისტრს, ან რატომ აკეთებენ აქცენტს იმაზე, რომ ეს არის დავა საქართველოსა და რუსთავი 2-ს შორის, რომელსაც საქართველო მოიგებს? ან ამ სასამართლოს მიმართ რატომაა უნდობლობა? აქამდე არ შესულა სტრასბურში საჩივრები?

– რუსეთის ახალ აგრესიაში რა იგულისხმეთ, მილიტარიზაცია ოკუპირებულ რეგიონებში?

– ბევრი მოვლენა. ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა, მათი პრობლემები წამგებიანი თემაა რუსეთისა და რუსული გაზპრომის აქაური წარმომადგენლებისათვის. ამიტომ ამაზე ყურადღება არ მახვილდება.

– საქართველოს პრობლემები არ განიხილება საერთაშორისო დონეზე?

– არა. რუსეთს თითქმის მთელი მსოფლიო დაუპირისპირდა, ევროკავშირი, აშშ. მსოფლიო მოითხოვს მკაცრი ზომების გატარებას რუსეთის წინააღმდეგ. ამაში ამერიკელ რესპუბლიკელებს დემოკრატებმა გაასწრეს. უკრაინის თემა ძალიან აქტუალურია. სად ვართ ჩვენ? ჩვენ მიმართ რუსეთმა აგრესია ბევრად ადრე გამოიჩინა.

– მსოფლიომ ამას სათანადო ყურადღება ჯერ კიდევ 2008 წელს არ მიაქცია.

– გეთანხმებით. ამას დასავლეთში აღიარებენ. რუსეთის მაშინდელი მოქმედებები მოულოდნელი აღმოჩნდა. მაშინ ჩვენ ძალიან ვაქტიურობდით. დავიწყეთ იმის კეთება, რასაც ახლა უკრაინა აკეთებს. პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის კომისიაში ბევრი პროექტი მოვამზადეთ. მაშინ საინფორმაციო ომი რუსეთს მოვუგეთ. ამას რუსეთიც ვერ უარყოფს. ტრამპის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი, რომელიც რუსეთთან დანაშაულებრივ კავშირებში ამხილეს, მაშინ, 2008 წელს, ყველანაირად ცდილობდა რუსეთის გამართლებას, მაგრამ – უშედეგოდ. ხანდახან არის მცდელობა, რომ საქართველოს პრობლემები მიებას უკრაინის პრობლემებს, მაგრამ ამაში ამ ხელისუფლების წვლილი არ ჩანს. ამ ხელისუფლებას მხოლოდ აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები აინტერესებს.

– რა აქვს ჩაფიქრებული რუსეთს?

– რუსეთმა სარაკეტო სისტემები განალაგა აფხაზეთში. ხდება ორივე რეგიონის ანექსიის გაღრმავება. რუსეთი პლაცდარმებს აფართოებს. გარკვეული ხნის შემდეგ დასვამს აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ამოქმედების საკითხს და ამ რკინიგზით გადაზიდავს სამხედრო ტვირთებს სომხეთში. მერე იტყვის, რომ რკინიგზა დასაცავია და მის გასწვრივ ბაზებს მოაწყობს.

– ყველაფრის მიუხედავად, ადგილობრივ არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ კონკურენტი არ ჰყავს.

– იმდენი უმწვავესი პრობლემაა დაგროვილი, რომ არავინ იცის, როდის, როგორ და სად იჩენს თავს. ცოტა ხნის წინ არც ბათუმში ელოდა ვინმე სიტუაციის დაძაბვას. ხალხის უკმაყოფილებას დაემატა სუს-ის ბრძოლა საპატრულო პოლიციასთან. ამ ბრძოლისას კინაღამ მთელი ბათუმი დაანგრიეს. აქ კარგად გამოჩნდა ხელისუფლების უსუსურობა.

– ბევრი თვლის, რომ ხელისუფლებამ ორგანიზებულობა გამოიჩინა.

– ეს იყო დაბნეულობა იმის გამო, რომ ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს. როცა გადაწყვეტილების მიმღებს სძინავს, სხვები ვერ მოქმედებენ. კაცმა არ იცის, კიდევ რა მოხდება. ხალხში დაგროვილია უკმაყოფილება უმუშევრობის, სიძვირის, ნარკოტიკების ჩადების, ბევრი სხვა რამის გამო. შეიძლება, ხალხი გამოვიდეს. თუ მმართველს მაშინაც ეძინება, მაშინ შეიქმნება სიტუაცია, რომელიც ამ ხელისუფლებისთვის, შეიძლება, ცუდად დამთავრდეს.

ეკონომიკა

ამბულატორიულ მედიკამენტებთან წვდომა 70.000-დან 100.000 სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებსაც ექნებათ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან იმ სეგმენტზე ისაუბრა, რომლებსაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მოსალოდნელი ცვლილებების მიხედვით, ამბულატორიულ მედიკამენტებთან წვდომის პრივილეგია ექნებათ.

– ეს ჯგუფი უკვე განსაზღვრულია. ეს არის პენსიონერების ის ნაწილი, რომელიც სოციალურად დაუცველია, ასევე, მარტოხელა პენსიონერი, სხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიები და პლუს, ეს პრივილეგია გავრცელდება 70.000 – 100.000 ქულის მქონე მოქალაქეებზე, – განმარტა დავით სერგეენკომ.

ამასთან, ცნობილია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, დიაბეტის მეორე ტიპის, ბრონქული ასთმის, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაფინანსდება.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რატომ მივიდა კვირიკაშვილი უშიშროების საბჭოს სხდომაზე

შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „ირაკლი კობახიძე სუსტი ადამიანია“

პარლამენტის თავმჯდომარის უარის მიუხედავად, უშიშროების საბჭოს სხდომა მაინც გაიმართა. სხდომას საბჭოს წევრებიდან მხოლოდ 6 დაესწრო. რამდენიმე მინისტრი და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომი-

ტეტის თავმჯდომარე სხდომას საპატიო მიზეზით არ დაესწრნენ – ისინი საქართველოში არ იმყოფებოდნენ.

ყველასთვის მოულოდნელად, სხდომაზე მივიდა პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. პრეზიდენტის წინააღმდეგ ატეხილი საყოველთაო წიოკის ფონზე ეს თითქმის სენსაცია იყო.

თავიდან სხდომაზე მისვლას არც თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აპირებდა. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს სხდომა იმ დღეს დანიშნა, როცა პარლამენტის პლენარული

სხდომა მიმდინარეობდა.

– საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უშიშროების საბჭო არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. როდესაც პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ მას სჭირდება თათბირი და რჩევის მიღება ამა თუ იმ საკითხზე, მას აქვს უფლება, მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა.



გული მწყდება, რომ ეს სხდომა დაინიშნა იმ დროს, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული სესია მიმდინარეობს. ჩემი კოლეგები ამ მიზეზის გამო პარლამენტიდან ვერ დაესწრებიან სხდომას. მე ჩავთვალე საჭიროდ, ჩამოვსულიყავი თბილისში, რადგან არის რამდენიმე საკითხი, რაზეც მინდა, ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო. სხდომას ესწრებიან პრემიერი და შესაბამისი მინისტრები და მზად ვართ, უშიშროების საბჭოს ფორმატში ვიმსჯელოთ განსახილველ საკითხებზე, – განაცხადა სესიაშვილმა.

უშიშროების სხდომაზე დასწრებაზე სწორედ პარლამენტის სხდომის საბაბით თქვა უარი ირაკლი კობახიძემ.

ექსპერტი გია ხუხაშვილი სპიკერის გაჯიუტებას სხვა მიზეზით ხსნის.

– ბოლო დღეების განმავლობაში მან პრეზიდენტის მიმართ საყოველთაო ისტერიკა მოაწყო. ამის შემდეგ მას ძალიან გაუჭირდა მარგველაშვილთან პირდაპირი კომუნიკაცია, სწორედ ამიტომ არ წავიდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასასწრებად, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, პარლამენტში არაფერი დაშავდებოდა, თუ სხდომას კობახიძის ნაცვლად რომელიმე მისი მოადგილე გაუძღვებოდა.

– პარლამენტში არის რამდენიმე ვიცესპიკერი. მათ კობახიძის არყოფნაში სხვა დროსაც წაუყვანიათ სხდომა. არც ახლა გაუჭირდებოდათ. ეს იყო მხოლოდ მიზეზი. სპიკერმა თავისი სისუსტე გამოავლინა. რაც არ უნდა კოპები შეყაროს, ის სუსტი ადამიანია, – ამბობს ექსპერტი.

სესიაშვილის გადაწყვეტილებას ის პრემიერ-მინისტრს უკავშირებს. ხუხაშვილი ამბობს, რომ კომიტეტის თავმჯდომარე სხდომას იმიტომ დაესწრო, რომ იქ კვირიკაშვილი მივიდა.

თავად კვირიკაშვილის გადაწყვეტილებას ხუხაშვილი დადებითად აფასებს. წინა პრემიერი უშიშროების საბჭოს სხდომებს არ ესწრებოდა.

– გიორგი კვირიკაშვილი კომუნიკაბელური ადამიანია. ძალიან კარგია, რომ მან უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასწრება გადაწყვიტა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მას ყველგან წასვლას არ უკრძალავენ, – ამბობს ხუხაშვილი.

უშიშროების საბჭოს წევრებს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. საუბარი მხოლოდ პრეზიდენტმა ისურვა.

– ჩვენ განვიხილეთ უსაფრთხოების გარემო შავი ზღვის რეგიონში, განვიხილეთ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები, თავდაცვისუნარიანობის გაღრმავებისკენ მიმართული გეგმები და პროცესები, განვიხილეთ ბრიუსელის სამიტზე საქართველოს საკითხის წარმოჩენის თვალსაზრისით კოორდინირებულად გადასადგმელი ნაბიჯები.

ბრიუსელის სამიტზე მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები არიან მიწვეული. შესაბამისად, საქართველოს წინაშე დგება მნიშვნელოვანი ამოცანა, რომ კოორდინირებულად თავდაცვის სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უშიშროების საბჭომ, პრემიერმა, პრეზიდენტმა ერთად იმოქმედონ იმისთვის, რომ ჩვენი პარტნიორების მეშვეობით საქართველოს საკითხს მიექცეს შესაბამისი ყურადღება ამ სამიტზე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მოგვიანებით კომენტარები საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუამ და უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმაც გააკეთეს.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვათა განცხადებებს ოპოზიციის მხრიდან მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა.

პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს პარლამენტი პატივს არ სცემს.

მისივე თქმით, ხელისუფლების მხრიდან პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია ხდება. ვიცესპიკერის აზრით, აშკარაა, რომ პირად დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

– წარმოიდგინეთ, გავიღვიძეთ ერთ დღეს და პრემიერ-მინისტრი არის მარგველაშვილი და პრეზიდენტი – კვირიკაშვილი. ჩვენ ისევ პარლამენტი ვართ. რა მოხდება ამ დროს? დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა დაიწყებს საუბარს იმაზე, რომ პრეზიდენტის უფლებები კიდევ უნდა გაიზარდოს, ვინაიდან კვირიკაშვილია პრეზიდენტი. პრეზიდენტის ინსტიტუტი კარგია და კონსტიტუციურია. ეს საუბრები იქნება უმრავლესობის მხრიდან პარლამენტის დარბაზში.

ამ შემთხვევაში ჩანს პიროვნული დაპირისპირება. არ მალავს „ქართული ოცნება“, რომ მისთვის მიუღებელია მარგველაშვილი. მე არ ამირჩევია მარგველაშვილი. ის იყო „ქართული ოცნების“ კანდიდატურა. ძალიან უხერხულია, როდესაც მიდის პიროვნული დაპირისპირება და, შესაბამისად, ეს ვრცელდება იმაზე, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია ხდება.

პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივი უნდა ვცეთ. ძალიან ცუდია, როცა მიდის დაკნინება პრეზიდენტის სტატუსის, მისი თანამდებობის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, როგორც ინსტიტუციის და ეს ტენდენცია მიზანმიმართულია იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ევასება მარგველაშვილი. მარგველაშვილი ჩვენ „ქართულმა ოცნებამ“ შემოგვთავაზა. მე მისთვის მხარი არ დამიჭერია და დღეს ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მარგველაშვილს, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი აბესაძემ პარლამენტის სპიკერს უპასუხისმგებლობა დაუწუნა.

რუსთავი 2-მა ყარამანაშვილებს უარი უთხრა

„40% არ გვინდა, ტელეკომპანია „საქართველო“ მოგვეცით“

გუშინ, 23 მარტს, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც ძმები ყარამანიშვილების შეთავაზებას ტელეკომპანიის თანამშრომლებისთვის 40%-იანი წილის გადაცემის თაობაზე უარით უპასუხა.

უარის საფუძვლად გვარამიამ შემდეგ გარემოებები მოიყვანა:

1. ამჟამად ყადაღის ქვეშ მყოფი 40%-იანი წილის რუსთავი 2-ის გუნდისთვის გადმოცემა პრაქტიკულად განუხორციელებადია, რადგან რუსთავი 2-ის წესდების თანახმად წილების გადაცემას ესაჭიროება ყველა მეწილის, მათ შორის 9%-ის წილის მფლობელის, ნინო ნიჟარაძის თანხმობა, ამგვარი თანხმობა არ არსებობს და შესაბამისად წარმოდგენილი შემოთავაზება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ფიქციას, რაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ძმებ ყარამანიშვილებს გამორჩათ მხედველობიდან.

2. კომპანიის 40%-იანი წილის ფლობა პრაქტიკულად არ ცვლის საქმის ვითარებას, რადგან გადამწყვეტი ხმის უფლება ისევ რჩება ტელეკომპანია საქართველოს, რომელიც კომპანიის საკონტროლო პაკეტს, 51%-იან წილს ფლობს და ტელეკომპანია საქართველოს მესაკუთრეებიც არიან ძმები ყარამანიშვილები, შესაბამისად ეს წინადადებაც შინაარსობრივი თვალსაზრისითაც ერთგვარად ფიქტიურია, რადგან კოლექტივის კომპანიის მართვაში ჩართულობის გარანტიას ვერ ქმნის.

3. სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის თანამშრომლები გამოვდივართ საპასუხო ინიციატივით, საკუთრებაში გადმოგვეცეს შპს ტელეკომპანია საქართველო, რაც როგორც სამართლებრივად, ისე შინაარსობრივად ერთადერთი გზაა კომპანიაში საქმის ვითარების რეალურად და არა ფიქტიურად შესაცვლელად.

შპს ტელეკომპანია საქართველო არ არის დაყადაღებული, მის გასხვისებას არ სჭირდება მესამე პირთა თანხმობა და ის ფლობს რუსთავი 2-ის საკონტროლო პაკეტს.

4. ამგვარი ნაბიჯის გადადგმით ასევე დასრულდება არაჯანსაღი და ხშირ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლო სპეკულაციები რუსთავი 2-ის პარტიულ ან სხვაგვარ აფილაციებთან დაკავშირებით და უკვე მათ შორის არც ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი არ ექნება იმის მტკიცებას, რომ სარედაქციო პოლიტიკა ყალიბდება სხვა ადამიანების ჩარევით და მხოლოდ ჩვენ, უკვე ფორმალურ-სამართლებრივადაც სრულად და დამოუკიდებლად ვიქნებით პასუხისმგებელი ჩვენს სარედაქციო პოლიტიკაზე.

5. ჩვენ გვესმის ლეგიტიმური ინტერესი იმისა, რომ არ შეიქმნას ინვესტორების საფარქვეშ კომპანიაში მესამე პირების შემოსვლის საშიშროება. საამისოდ მზად ვართ, წილების ჩვენთვის გადმოცემის შემთხვევაში ტელეკომპანია საქართველოს წილის ნებისმიერ მესამე პირზე გასხვისება შეესაძლებელი იყოს მხოლოდ უპრეცედენტოდ მაღალი კონსენსუსის საფუძველზე.

გიორგი გაჩეჩილაძე: „მოსმენების საგენტო სუს-ზე არ იქნება დამოკიდებული“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრმა **გიორგი გაჩეჩილაძემ** „ახალ თაობასთან“ „ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა, რომ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს პრეზიდენტი უარყოფით როლს თამაშობდა.

– ბატონო გიორგი, თქვენ განაცხადეთ, რომ მოსმენების კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტი მარგველაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოსთან უნისონში მოქმედებდა. ამ განცხადებაში რა იგულისხმეთ?

– მოსმენების კანონს პრეზიდენტმა 2014 წლის 29 ნოემბერს დაადო ვეტო. საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ ამის შემდეგ ცნო არაკონსტიტუციურად პარლამენტის გადაწყვეტილება. ეს გააკეთა მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ.

– ამით რა გინდათ თქვათ?

– პირველი კოლეგია ძირითადად დაკომპლექტებული იყო ნაცმოძრაობის წარმომადგენლებით. ამ კოლეგიის წევრი იყო მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეც.

„ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ“ კანონში ძირითადია საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მედია კი აქცენტს სხვა საკითხებზე აკეთებს. მთავარია, რას ემსახურება სააგენტო, რომელიც იქმნება. ამ სააგენტოს ამოცანებია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღკვეთა.

ფაქტობრივად, ეს არის საქართველოს პრეზიდენტის ვალდებულებები. საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობის, (ანუ ტერიტორიული მთლიანობის), მისი სუვერენიტეტის გარანტი. არის უმაღლესი მთავარსარდალი, მთავარი სამხედრო პირი ქვეყანაში. ის კი ვეტოს ადებს კანონს, რომელმაც მისი ფუნქციები უნდა შეასრულოს, ანუ ამ ფუნქციების ეფექტურად შესრულების მექანიზმს პრეზიდენტი ვეტოს ადებს.

– თქვენ ამბობთ, რომ პრეზიდენტი უნისონში მოქმედებდა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ნაცმოძრაობის დანიშნულები იყვნენ. გინდათ თქვათ, რომ პრეზიდენტმა შეგნებულად, განგებ გამოიყენა ვეტოს უფლება, როცა საჭირო არ იყო?

– ვერ გეტყვით, პრეზიდენტი ამას შეგნებულად და განგებ აკეთებდა თუ არა. ფაქტია, რომ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას (როცა საქმე ეხებოდა ლარის სტაბილურობას, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს) პრეზიდენტი რაღაცნაირად (ისე გამოვიდა) უარყოფით როლს თამაშობდა.

– უმრავლესობა აცხადებს, რომ კანონში მოძებნილია ბალანსი ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას შორის. კანონში ბალანსს რა განაპირობებს?

– ბალანსის ძირითადი პირობაა ის, რომ სააგენტო არის დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც, მართალია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებს.

მისი ამოცანები უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, ოქროს კვეთა მოვახერხეთ, რათა ეს სააგენტო არ ყოფილიყო დამოკიდებული არც უსაფრთხოებისა და არც სხვა ტიპის სამსახურებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები წუხან, თითქოს შეიძლება მოუსმინონ და დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა გავლენა იქონიონ. ამ კანონით გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებიც ეფექტურად განხორციელდება.

– პრეზიდენტი შენიშვნებში წერს, რომ სურს, აღნიშნული სააგენტო პრემიერს დაექვემდებაროს. რა იქნება, სააგენტო პრემიერს რომ დაექვემდებაროს?

– მთელ მსოფლიოში ეს სამსახური გარკვეული ფორმით უსაფრთხოების სამსახურებთან არის დაკავშირებული. ჩვენი კანონის მიხედვით, ეს „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“ დამოუკიდებელია. გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში პირდაპირ უშიშროების სამსახურებშია, რადგან სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეების მოგვარებას ემსახურება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაკმაყოფილებულია. სააგენტო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელია, სააგენტოს ხელმძღვანელს სპეციალური კომისია ირჩევს, მერე ნიშნავს პრემიერი.

– თვითონ უსაფრთხოების სამსახური პრემიერს ხომ ექვემდებარება? ვის წინაშეა ანგარიშვალდებული?

– უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის წინაშე.

– ანუ გამოდის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სააგენტო ირიბად მაინც პრემიერის დაქვემდებარებაში იქნება.

– „პრემიერისადმი დაქვემდებარება“ რას ნიშნავს? ძალიან ღრმად შეხვედით სახელმწიფო მოწყობის სისტემაში. სააგენტოს უფროსად პრემიერი ნიშნავს კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატურას. დაქვემდებარებული სუბიექტები კი არ არიან, ეს არის სახელმწიფოს ერთიანი სისტემა.

– აბა, პრეზიდენტი რომ მოითხოვს, სააგენტო პრემიერს დაექვემდებაროსო, რას ნიშნავს?

– პრემიერი აკონტროლებდეს. ასევე, როდესაც ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ კანონს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, გარკვეული პერიოდის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ „ეროვნული ბანკის შესახებ კანონში“ ის მუხლები შეაჩერა, რომლებსაც უნდა შეეჩერებინა ლარის გაუფასურება. ეს იყო 2015 წელს. ლარის გაუფასურება 2016 წელს დაიწყო. პარლამენტმა ყველაფერი გააკეთა, რომ ამაში ეროვნული ბანკის წვლილი როგორმე შეეჩერებინა, მან კი კანონს ვეტო დაადო.

– რა წვლილი?

– იყო ეჭვი, რომ ეროვნული ბანკის მაშინდელი თავმჯდომარე ხელოვნურად ხელს უწყობდა ლარის გაუფასურებას იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში გლობალური კრიზისი სუფევდა – რუსული, ბრიტანული, თურქული ვალუტები და ევრო დაეცა.

– მოვისმინე, რომ, მართალია, პრეზიდენტი ხელს მოაწერს ბანკების ფინანსური ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დაბრუნებას, მაგრამ მოითხოვს იმ დეპუტატების დასჯას, რომლებმაც თავის დროზე ხელი მოაწერეს გამოყოფას.

– დაისაჯონო, სად წერია?

– ვინც ხმა მისცა გამოყოფას, იმ დეპუტატების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

– არა მგონია, პრეზიდენტმა ასეთი სისულელე თქვას, რადგან აქ არის სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები, რომლებიც ეხება კანონმდებლობას.

– როგორც ჩანს, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტის გამოყოფამ ეროვნული ბანკის მუშაობას ზიანი მიაყენა.

– ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტის ეროვნული ბანკიდან გამოყოფაზე პარლამენტმა ძალიან კარგი გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან დაკავშირებით სპეციალური გამოსვლაც მქონდა 2015 წელს, როდესაც ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის დეპარტამენტის გამოყოფის საკითხი განიხილებოდა, მაშინ გამოვაქვეყნე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტთა ოფიციალური დასკვნა ეროვნული ბანკის ქმედებებთან დაკავშირებით, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის აპრილსა თუ მაისში, იმ პერიოდში, როდესაც მთელ მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისი მიმდინარეობდა, ჩვენი ეროვნული ბანკი ერთი ხელით თითქოს ლარის დევალვაციის შესაჩერებლად საქართველოს საფინანსო ბაზარზე დოლარის ინტერვენციებს აკეთებდა, მეორე ხელით, გარკვეული მექანიზმების საშუალებით, საქართველოს საფინანსო ბაზარზე ლარის მასას სპეციალურად ზრდიდა, ლარი რომ გაუფასურებულიყო. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ხელოვნურად კეთდებოდა.

მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქადაგიძე იყო, ნაცმოძრაობიდან შემორჩენილი ჩინოვნიკი. ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტის გამოყოფის თაობაზე კანონი იმიტომ მივიღეთ, კატასტროფა რომ შეგვეჩერებინა, მაგრამ პრეზიდენტმა ვეტო დაადო.

– თუ ასეთი დასკვნები არსებობდა, ქადაგიძეს იმპიჩმენტი რატომ არ მოუწყვეთ?

– ეს იყო ექსპერტების, მეცნიერების შეფასებები. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, მაგრამ პარლამენტში სტრუქტურა ისეთია, შეუძლებელია ობიექტური დასკვნის გამოტანა. კომისიის ნახევარი უნდა იყოს ოპოზიციის. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა.

– თუკი ეროვნული ბანკიდან ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტის გამოყოფა აუცილებლობას წარმოადგენდა, ახლა ისევ რატომ შეუერთეთ?

– ის გადაწყვეტილებაც სწორი იყო, რომელიც ჩვენ მივიღეთ ფორსმაჟორულ პირობებში და ეს გადაწყვეტილებაც სწორია, როცა ეროვნულ ბანკს ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქციას უკან ვუბრუნებთ, რადგან ლართან დაკავშირებით ხელოვნური მანიპულაციების საფრთხე აღარ არსებობს.

– ე.ი. სისტემა მდგრადი არ არის და ეროვნული ბანკის პირველ პირზეა დამოკიდებული, როგორ იმუშავებს საბანკო ზედამხედველობა?

– ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით ყველაფერი დალაგებულია. უახლოეს პერიოდში სისტემა გაიმართება. თქვენ თვითონაც აკვირდებით, ლარი ნელ-ნელა როგორ სტაბილურდება. ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს, კანონმდებლობაც შესაბამისობაში მოვიყვანოთ.

„ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ საქართველო გააღარიბა“

„მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ზვიად ხორგუაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოს ეკონომიკა მძიმე დღეში ჩააგდო.

– გადასახადების ზრდამ, ბიზნესის რეგულაციებით დახრჩობამ და სხვა მავნებლურმა ნაბიჯებმა ქვეყნის ზრდის ტემპი კატასტროფულად შეამცირა და ამ მთავრობის პირობებში საქართველოს განვითარების პერსპექტივა მოუკლა. 2012 წელს საქართველოს მშპ 14.4 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2016 წელს ეს რიცხვი 14.3 მილიარდი აშშ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ საქართველო გააღარიბა.

მისი თქმით, ინვესტორები და ქვეყნის ეკონომიკით დაინტერესებული პირები სწორედ დოლარში უყურებენ ქვეყნის ეკონომიკას და მოცემული რიცხვები მათთვის უარყოფითი სიგნალია.

– ხელისუფლების ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკა 2.7%-ით გაიზარდა, რაც საქართველოსნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. 2017 წლის 30 იანვარს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2016 წლის ეკონომიკური ზრდა 2.2% იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ან მაშინ ვერ დაითვალეს სწორად რიცხვები, ან ახლა ვერ ითვლიან, რადგან 0.5%-პუნქტიანი სხვაობა არც ისე დაბალია.

ამის მიუხედავად, მოცემული რიცხვები საქართველოსთვის ძალიან მძიმე ვითარებას ასახავს. 2.7%-იანი ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკა არ იზრდება, რადგან მოცემული ზრდით, მაგალითად, 2016 წელს ჩვენ ვიქნებით უფრო ღარიბები, ვიდრე დღეს არიან სურინამი, გრენადა, თურქმენეთი და აზერბაიჯანი, ხოლო ჩამოთვლილი ქვეყნები 2030 წლისთვის ბევრად მდიდრები იქნებიან, ვიდრე საქართველო იქნება, – განაცხადა ზვიად ხორგუაშვილმა.

კომერსანტი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ლარის გამყარება ფულის მასის შემცირებამ გამოიწვია“

პაატა შეშელიძე: „ორთაჭალაში მთავრობის გადატანა ახალი იდეა არ არის“

ნონა ცაბაძე

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობას აანონსებს. მის განცხადებას უკვე მოჰყვა უკმაყოფილება ოპოზიციაში.

აქვს თუ არა დღეს ქვეყნის ბიუჯეტს ამის საშუალება, რამდენად დაზოგავს ქვეყანა ხარჯებს ამ პროექტის განხორციელებით? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას“ ეკონომიკის ექსპერტი, ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი **პაატა შეშელიძე** ესაუბრება.

– ბატონო პაატა, საზოგადოებაში უკვე მოჰყვა ვნებათაღელვა პრემიერის განცხადებას. ოპოზიცია აცხადებს, რომ დღეს ქვეყნის ბიუჯეტს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ მთავრობამ საკუთარ კომფორტზე იზრუნოს. როგორია თქვენი შეფასებები? ეს არის კომფორტი თუ დაზოგილი თანხები და გამოთავისუფლებული შენობები ქალაქის ცენტრში?

– ეს არ არის ახალი იდეა. ასეთი საკითხი განიხილებოდა ადრეც. სწორედ მაგიტომ მოხდა თავის დროზე ორთაჭალაში რამდენიმე სამინისტროს გადატანა. მხედველობაში მაქვს გარემოს დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაშინ გადაიტანეს ფინანსთა სამინისტროც, პროკურატურაც იქვეა და ასე შემდეგ. წმინდა კალკულაციის საკითხია, შეიძლება თუ არა ამით მართლა რაღაც რეალური ეკონომია გაკეთდეს. გააჩნია, როგორ არის ეს ყველაფერი დათვლილი და გაანგარიშებული. ამიტომ აქ რაღაც ექსტრაორდინარულს ვერ ვხედავ.

სულ სხვა საკითხია, ვაპირებთ თუ არა თვითონ ამ სამინისტროების შენარჩუნებას, მათი ფუნქციური და შინაარსობრივი დატვირთვით. აი, აქ მე მექნება ბევრი შენიშვნა.

– რა სახისაა ეს შენიშვნები?

– საჭიროა თუ არა ამდენი სამინისტრო? მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტდი, რა შეიძლება აშენდეს და საჭიროა თუ არა, რომ საერთოდ აშენდეს!

– ანუ ოპოზიციის ვიშვიშს, რომ ეს ყველაფერი ქვეყნის ბიუჯეტს დააზარალებს და ახლა ამის დრო არ არის, არ იზიარებთ?

– რაციონალური ადამიანი საკითხს დასვამს ასე: რისი ოპტიმიზაცია ხდება? საჭიროა თუ არა საერთოდ ამდენი სამინისტრო, საჭიროა თუ არა, ასეთი ფუნქციებით არსებობდეს სახელმწიფო დაწესებულებები და ვიხადოთ მათში ამდენი ფული?!

მე ვთვლი, რომ არ არის საჭირო. ამის შემდეგ უნდა დაითვალოს მათი შენახვისთვის საჭირო თანხები, არსებული უძრავი ქონება, რომელიც არის ამისთვის გამოყენებული, ხარჯები, რომელიც ამაზეა გაწეული და ის პოტენცია, რაც შეიძლება იყოს ამ ალტერნატივის შემთხვევაში.

ცალსახა პასუხი, ეს კარგია თუ ცუდი, არ არსებობს.

– მთავრობა არ ფიქრობს სამინისტროების შემცირებაზე.

– არადა, იყო ამის დაპირებები!

– პრემიერმა ოთხპუნქტიან გეგმაზეც ისაუბრა. რამდენად მუშაობს დღეს ეს გეგმა? გაუმჯობესდა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა?

– ეს ოთხპუნქტიანი გეგმა საკმაოდ ბუნდოვანი იყო და ასევე რჩება. ჯერ გასულია ორი თვე და შეფასებები ნაადრევია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ გეგმის ნაწილი იყო, იყო გალარების პროცესი, რაც იყო სრულიად აბსურდი და კრახით დამთავრდა.

– თუმცა ხელისუფლებისგან გვესმის საპირისპირო და მის წარმატებით განხორციელებაზე საუბრობენ.

– რას ნიშნავს წარმატებული?! მაშინ რაღაც კრიტერიუმი უნდა შევარჩიოთ. თუკი მხოლოდ 20%-მა მიიღო მონაწილეობა პროექტში, როგორ შეიძლება, ეს წარმატებულად მივიჩნიოთ?!

ისინი საუბრობდნენ, რომ უმრავლესობა გადაიტანს სესხს ლარში. მხოლოდ 20%-მა გამოიჩინა ინიციატივა, ლარის კურსი ისევ არასტაბილურია, პერსპექტივაც არასტაბილურია. როგორ შეიძლება, ეს დადებითად შეფასდეს?! სად არის აქ ლოგიკა?!

– ლარის კურსი შედარებით დაბალანსდა. ამას რით ხსნით?

– კურსი არც მანამდე გაიქცეოდა, რომ ყოფილიყო იგივე დამოკიდებულება, როგორიც ახლაა. შეშინდნენ და ვეღარ იყენებენ ეროვნული ბანკის მანიპულაციებს თავიანთი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამაზე ბევრი გაფრთხილება იყო და ასე ადვილად აღარ გამოდის ეგ ამბავი. თუ ეროვნული ბანკის სტატისტიკას ნახავთ, ძალიან ადვილად მიხვდებით, რაშია საქმე.

– და რაშია?

– აქ არის ფულის მასის შემცირება, აღარ გამოიყენება რეფინანსირების სესხები ისე აქტიურად, როგორც აქამდე გამოიყენებოდა სახელმწიფო ვალდებულებების დასაფინანსებლად ბანკების გავლით და ეს არის ამის მიზეზი. არც არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ბოლო 9 წლის განმავლობაში ფულის მასა იყო გაორმაგებული, სარეზერვო ლარი იყო გაორმაგებული და რატომ ეგონათ, რომ ის არ გაუფასურდებოდა?! ასე რომ, ეს იყო ძალიან დიდი ტყუილები, რომ თითქოს გაუფასურება უცხოური ფაქტორების ბრალია და ასე შემდეგ.

– ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, რადგან ამ პერიოდში გაცილებით მეტი ტურისტი სტუმრობს ქვეყანას. თქვენ თუ ელით დადებით დინამიკას?

– ეს სეზონური განცხადებები საერთოდ უნდა დავივიწყოთ. რის გაზაფხული და ზაფხული! ხელისუფლება ეკონომიკის გაჯანსაღებაზე მუდმივად უნდა მუშაობდეს! ყოველ წელს ერთი და იგივე განცხადებები, ყოველ წელიწადს მოდის ეს ზაფხული და შემოდგომა, მაგრამ სად არის უკეთესობა?! არანაირი კავშირი ეკონომიკას ზაფხულთან და შემოდგომასთან არა აქვს! ეკონომიკას კავშირი აქვს მუშაობასთან და მოტივაციასთან! ეს მოტივაცია კი ზამთარშიც და სიცივეშიც უნდა ჰქონდეს ადამიანს. თუ ეს არ არის, მაშინ ეკონომიკა არაჯანსაღია. თუ ტურიზმზე აკეთებენ აქცენტს, ტურისტი უნდა ჩამოდიოდეს ყოველდღე, ყველა სეზონზე.

„გარევაჭრობას ცივილიზებული ფორმა უნდა მიეცეს“

შეიძლება ითქვას, რომ გარევაჭრობა თბილისის „აქილევსის ქუსლია“: წლები გადის, მთავრობები იცვლებიან, ამ ადამიანების პრობლემა კი ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა, თუმცა ამ მიზნის მიღწევას თბილისის მერია დღემდე ცდილობს. დედაქალაქში უნებართვო გარევაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება დაიწყეს. რამდენიმე დღის წინ გარემოვაჭრეები მარჯანიშვილის მეტროსა და ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან გააძევეს.

მოძრაობის შეფერხება, ანტისანიტარია, მალფუჭებადი პროდუქტის შენახვის პირობების დაუცველობა, გაურკვეველი წარმოების პროდუქციის გაყიდვა, ქალაქში არსებული ტურისტული ზონებისა და თბილისის იერსახის დამახინჯება... ამ მიზეზებს ასახელებენ მერიის წარმომადგენლები, როდესაც გარევაჭრობის უარყოფით მხარეებზე საუბრობენ.

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ღლაქვინაძემ მცირე მეწარმეებს საქმიანობის სავაჭრო ობიექტებზე გაგრძელება შესთავაზა. ღლაქვინაძის თქმით, „თბილისის მერიასა და ბაზრობების ასოციაციას შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად მოვაჭრეებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ ადგილი სასურველ სავაჭრო ობიექტზე, გაიარონ რეგისტრაცია და საქმიანობა დაიწყონ, თანაც მოვაჭრეები დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში, გათავისუფლდებიან საიჯარო გადასახადისგან. მერიაში აცხადებენ, რომ ანალოგიური ღონისძიებები, უახლოეს მომავალში, დედაქალაქის სხვა ადგილებშიც განხორციელდება.

„ბიზნესპრესნიუსს“ ესაუბრა საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის დირექტორი თამაზ ვაშაკიძე, რომელიც გარემოვაჭრეთა პრობლემებზე უკვე წლებია მუშაობს. ის მიიჩნევს, რომ საქართველოში გარემოვაჭრეებს უსამართლოდ ექცევიან.

– მარჯანიშვილის მეტროსთან მყოფი გარემოვაჭრეები იქიდან მოულოდნელად აყარეს – ისე, რომ არც კი გააფრთხილეს. ხომ შეიძლებოდა სამი დღე მაინც მიეცათ? თვეების განმავლობაში იქ იდგნენ, არავის არაფერი უთქვამს და ახლა აღარ შეიძლება? ჩემი აზრით, მიზეზი სულ სხვაა. მარჯანიშვილის მეტროს წინ გაზეთების კიოსკიც არ დატოვეს, იქაც სურსათი ხომ არ იყიდებოდა?

გამოსავალი რაშია? – ხალხს 100 საწარმოს აშენებას რომ ჰპირდებოდნენ, ააშენონ, ეს ხალხი წავა, იმუშავებს და კაპიკებს იშოვის, რომ იარსებოს. მილიონები მოძველებული ვოკალური ანსამბლების ჩამოყვანაში კი არ უნდა გადაიხადონ, ხალხზე უნდა იზრუნონ და ქვეყანაში გარევაჭრობის მსგავსი პრობლემები აღარ იქნება, – აცხადებს თამაზ ვაშაკიძე.

განსხვავებულად აფასებს სიტუაციას საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი მიხეილ ჭელიძე.

– ძალიან ძნელია, როდესაც ტურიზმის განვითარებაზე ვსაუბრობთ და დედაქალაქის ქუჩებში თავისუფლად ვერ გაივლი. ეს ჩვენი ქალაქის სტუმრებზე უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვეულებრივ, ღია ცის ქვეშ მოწყობილი ბაზრობები ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ამ ყველაფერს სტიქიური ხასიათი არა აქვს.

ცენტრალურ ქუჩებზე მაინც უნდა მოვერიდოთ გარევაჭრობების გახსნას. გარევაჭრობა ყველგან არის – ნიუ-იორკშიც, ბოსტონშიც და მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქშიც, მაგრამ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, სპეციალური დახლებით და არა ისე, რომ ვიღაცამ საბურავი მოიტანოს, სახელდახელო დახლი მოაწყოს და თავისი თავი გარემოვაჭრედ გამოაცხადოს, – აღნიშნავს მიხეილ ჭელიძე.

მისი თქმით, გასაგებია, რომ ეს ადამიანები ქუჩაში მძიმე სოციალური ფონის გამო დგანან, მაგრამ ამას ცივილიზებული ფორმა უნდა მიეცეს.

– გარევაჭრობას ვერ მოვსპობთ, მაგრამ ხომ შეიძლება მათ კონკრეტული ადგილები გამოვუყოთ, ან ბაზრობა გავუხსნათ და შემოსავლის გარეშე არ დავტოვოთ? მე მგონი, ვერავინ შემედავება, რომ ყველი და მწვანილი ტროტუარზე, ტალახში, ანტისანიტარიულ პირობებში არ უნდა იყიდებოდეს. მართალია, ამ ადამიანებს უჭირთ, მაგრამ უნდა დავარეგისტრიროთ, აღვრიცხოთ და მათი საქმიანობა გავაკონტროლოთ.

ისინი გადასახადებსაც არ იხდიან, შეიძლება ვიღაცას ფულს ყოველდღე უხდიან, მაგრამ ესეც გასარკვევია: თუ ვინმეს რაღაც კრიმინალური ინტერესები აქვს და ხელს ითბობს, ისიც უნდა გამოვავლინოთ და დასასჯელი უნდა დაისაჯოს. ყველა ვყოფილვართ უცხოეთში, გარევაჭრობა ყველგან არის, მაგრამ ცენტრალურ ქუჩებზე, გადასასვლელთან, ან იქ, სადაც მანქანები მოძრაობენ – არსად. ხომ შეიძლება გარემოვაჭრეების საქმიანობას ოდესმე კანონიერი ხასიათი მიეცეს? – აცხადებს მიხეილ ჭელიძე.

ბიბიენი

ქვეითი ინსპექტორები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ

თბილისში 3 აპრილიდან „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები გამოჩნდებიან.

ინსპექტორები მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გუშინ „თბილსერვის ჯგუფის“ სათავო ოფისში შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეითმა ინსპექტორებმა მომავალი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია კომპანიის ხელმძღვანელებისგან მიიღეს.

– მომავალი კვირიდან კი დაიწყება ქვეითი ინსპექტორების გადამზადება, რომლის ფარგლებშიც ისინი „თბილსერვის ჯგუფის“ შესაბამისი სამსახურების მიერ ორგანიზებულ ტრენინგკურსებს დაესწრებიან.

პირველი ორი კვირის განმავლობაში, ინსპექტორების გამოჩენას მხოლოდ ინფორმაციული სახე ექნება, ისინი მოქალაქეებს მომავალ სანქციებთან დაკავშირებით გააფრთხილებენ და მათ მიერ დაყრილი ნარჩენის ურნაში ჩაყრისკენ მოუწოდებენ, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

ბიბიენი

სახელმწიფო ტენდერების დაბალი ფასით მოგება – რას ასახელებენ ხელფასების დაგვიანების მთავარ მიზეზად კომპანიებში?

სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე სუბიექტები თანამშრომლებისთვის ხელფასების დაგვიანების რამდენიმე მიზეზზე საუბრობენ, მთავარ არგუმენტად კი ტენდერებში დაბალი ფასით გამარჯვებას ასახელებენ.

შპს „ლაგოდეხავტოგზას“ 60.000-ლარიანი ტენდერი აქვს მოგებული და ლაგოდეხში ნაპირსამაგრი სამუშაოების მშენებლობას ახორციელებს. კომპანიის ხელმძღვანელი გია წიქარიშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ხელფასების დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი ტენდერებში დაბალი ფასით გამარჯვებაა.

მისი განმარტებით, კომპანიები იმისთვის, რომ ტენდერი მოიგონ, სახელმწიფოს ძალიან დაბალ ფასს სთავაზობენ, ტენდერს იგებენ, ხოლო შემდეგ ან სამუშაოები ვერ მიჰყავთ ბოლომდე, ან თანამშრომლების წინაშე ვალდებულებებს ვერ ისტუმრებენ.

პრობლემის არსებობას ადასტურებს „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ანა საბახტარაშვილი, თუმცა, აცხადებს, რომ ასოციაციის წევრ კომპანიებში მსგავსი პრობლემები არ არის.

სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიებში თანამშრომლებისთვის ხელფასების დაგვიანებას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა, ტენდერების დემპინგური ფასებით მოგება და პროექტის ცვლილებები.

მისი განცხადებით, ტოპ მიზეზად ტენდერების დაბალი ფასით მოგებაა. როგორც საბახტარაშვილი აცხადებს, კომპანიები ადეკვატურ ფინანსურ გათვლებს არ აკეთებენ და ხშირ შემთხვევაში ტენდერში გამარჯვების გამო სხვა ვალდებულებებს უგულებელყოფენ.

მეორე მიზეზად საბახტარაშვილი პროექტის ცვლილების გამო ობიექტის ჩაბარების გაჭიანურებას ასახელებს, რაც ავტომატურად ხდება ხოლმე ხელფასების დაგვიანების მიზეზი.

– რამდენიმე პროექტზე მქონია ასეთი შემთხვევა, როდესაც იცვლება საპროექტო მონაცემები. შესაბამისად, თანამშრომელი შეიძლება ასეთ დროს გაჩერებული გყავდეს რამდენიმე თვე და ხელფასს ვერ ურიცხავდე, – აცხადებს საბახტარაშვილი.

მისი განმარტებით, ასოციაცია მთავრობასთან ერთად აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე აქტიურად მუშაობს.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიები გააფრთხილა. მისი განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც კომპანიები ახორციელებენ ტენდერებს და უგვიანებენ ხელფასებს თანამშრომლებს. მან სამართალდამცავებს მოუწოდა, მსგავს შემთხვევებზე იყოს მკაცრი რეაგირება.

კომერსანტი

ყაზბეგზე ავტომანქანა ჯერ მგზავრთა გაჩერებაზე, შემდეგ კი პრესის ჯიხურებში შევარდა

თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, ავტომანქანა ჯერ მგზავრთა მოსაცდელ გაჩერებაზე, შემდეგ კი იქვე მდგომ პრესის ჯიხურებში შევარდა. ავტოსაგზაო შემთხვევა გამთენიისას მოხდა.

მანქანა, სავარაუდოდ, დიდი სიჩქარით მოძრაობდა. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მძღოლმა, ახალგაზრდა გოგომ, საჭე ვერ დაიმორჩილა და სავალი ნაწილიდან გადავიდა. მძღოლი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარის შედეგად ავტომანქანის მძღოლი დაშავდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ინტერპრესნიუსი

გიორგი მღებრიშვილი: „დამრღვევი მძღოლების მიმართ სანქციები გასამკაცრებელია“

– მე ვფიქრობ, საკმაოდ გასამკაცრებელია სანქციები დამრღვევი მძღოლების მიმართ.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მინისტრი თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 11 წლის გოგონას დაღუპვას ბრიუსელიდან გამოეხმაურა და ოჯახს მიუსამძიმრა.

– ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას. ეს ნამდვილად ტრაგედიაა. მე ვფიქრობ, საკმაოდ გასამკაცრებელია სანქციები იმ დამრღვევი მძღოლების მიმართ, რომლებიც ასე დღისით, მზისით, ყველას თვალწინ უგულებელყოფენ დადგენილ წესებს, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში 9.490 პატიმარია

დღეის მდგომარეობით, საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში 9.490 პატიმარია. პატიმართა რაოდენობის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა ისაუბრა.

პარლამენტი პირველი მოსმენით „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილების პროექტსა და მისი თანმდევ კანონპროექტებს იხილავს.

საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობისათვის დამატებითი მექანიზმების დანერგვას, მსჯავრდებულების უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობისა და მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პენიტენციარული დაწესებულების შექმნას, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის დახვეწას, პენიტენციარული დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთისა და პენიტენციარული დაწესებულებების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

ინტერპრესნიუსი

სინოდის წევრები არ დაიკითხებიან

საქალაქო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატების შუამდგომლობა სინოდის წევრების გამოკითხვასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განაცხადა, შუამდგომლობის საფუძველი იყო ირაკლი მამალაძის ჩვენებები, რომლებშიც მრავლად არიან მოხსენიებული წმინდა სინოდის წევრები.

– შუამდგომლობის საფუძველი იყო შემდგომი გარემოება, რომ საქმეში მოწმეების, ამ შემთხვევაში ირაკლი მამალაძის ჩვენებაში მრავლად არიან მოხსენებული წმინდა სინოდის წევრები გარკვეულ დაპირისპირებულ ჯგუფებად. აქედან გამომდინარე, გვაინტერესებდა რამდენად შეეფერება რეალობას ირაკლი მამალაძის ჩვენება და მოვითხოვეთ წმინდა სინოდის წევრების გამოკითხვა. ეს მოგეხსენებათ არ არის რიგითი საქმე, ეს საქმე ეხება საპატრიარქოს და წმინდა სინოდის წევრებს, – განაცხადა რამიშვილმა.

მისივე თქმით, მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა შუამდგომლობაზე უარი დაუსაბუთებლად თქვა.

– მოსამართლეს გამოყენებული აქვთ საერთაშორისო კონვენციის მუხლები, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებიც ჩვენც გვქონდა გამოყენებული და ამით ვადასტურებდით, რატომ იყო სავალდებულო გამოკითხვა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, ეს არის შერჩევითი სამართალი. პროკურატურის ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო ჩვენი არც ერთი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ არის, – განაცხადა ადვოკატმა.

რამიშვილის თქმით, ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში 24 საათში უნდა გაასაჩივრონ. როგორც რამიშვილმა განაცხადა, საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილება 12:00 საათზე იყო მიღებული, ხოლო მას ორი საათის დაგვიანებით გადაეცა.

ინტერპრესნიუსი

კანიბალიზმის საქმეზე პროკურატურამ კიდევ ერთი პირი დააკავა

კანიბალიზმის საქმეზე პროკურატურამ კიდევ ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრ პროკურატურაში განუცხადეს, მისი აყვანა დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით მოხდა.

უწყების განმარტებით, დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე სასამართლოს უკვე მიმართეს. პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვს.

თბილისში საზარელი მკვლელობა 19 ოქტომბერს მოხდა.

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ 3 პირსა და აღნიშნული დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ 1 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ნოემბერს შეეფარდათ. გამოძიების ინფორმაციით, სამმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში ბრალდებულ ირმა ყ.-ს დედა – 1940 წელს დაბადებული ლუბა ყ. ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდეგ გაგუდეს და დანის დარტყმით მოკლეს. ბრალდებულებმა გარდაცვლილი ლუბა ყოჩიაშვილის ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, ბექა შენგელიას ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს. იმავე საღამოს, დაბინდების შემდეგ, ბრალდებულებმა დანაწევრებული გვამი ორი ჩანთის მეშვეობით გლდანის მე-8 საპყრობილის მიმდებარედ არსებულ გაუქმებულ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს, წინასწარ, მოცემული დანაშაულის ჩადენის მიზნით შეძენილი ბენზინი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და კვალის დასაფარად თხრილში დაწვეს.

ბრალდებულების საქმე სასამართლო განხილვებისას რამდენიმე ეპიზოდად გაიყო. არასრულწლოვანის საქმეს სასამართლო ცალკე, ბექა შენგელიასა და ირმა ყოჩიაშვილის საქმე ცალკე, ხოლო დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებული ორი პირის საქმეს სასამართლო ცალ-ცალკე დახურულ რეჟიმში განიხილავს.

ინტერპრესნიუსი

ლევან როსტოშვილს — 8 წელი, ლაშა კურტანიძეს კი 5 წელი მიესაჯათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილ ტელეწამყვან ლევან როსტოშვილს, იმავე „როსტოს“, თავისუფლების 8 წლით, მსახიობ ლაშა კურტანიძეს კი 5 წლით აღკვეთა შეუფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ გამოიტანა. მოსამართლემ ორივე პირი დამნაშავედ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში ცნო.

ლევან როსტოშვილი და ლაშა კურტანიძე სამართალდამცველებმა 2016 წლის მაისში, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. თავდაპირველად ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, თუმცა მოგვიანებით ისინი სასამართლო დარბაზიდან 150-150-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.

გირაოთი გათავისუფლების შემდეგ საუბარი იყო მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, თუმცა პროკურატურასა და ბრალდებულებს შორის შეთანხმება ვერ შედგა.

ინტერპრესნიუსი

მსჯავრდებულებს გათავისუფლებისთვის მოამზადებენ



პენიტენციარულ სისტემაში ახალი ტიპის – გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება შეიქმნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსდებიან საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულები, რომელთა მიერ მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ვადა ექვს თვეს არ აღემატება – აღნიშნულ სიახლეს პენიტენციარული სისტემის რეფორმის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტის პლენარულ სესიაზე განიხილეს.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დეპუტატებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა წარუდგინა.

მისი თქმით, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული შეძლებს დაეუფლოს კონკრეტულ პროფესიას, უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება და ესტუმროს ოჯახს. ასევე, დაწესებულების დროებით დატოვება შესაძლებელი იქნება სწავლის მიზნითაც. მათ საშუალება მიეცემათ სრულ გათავისუფლებამდე მოაწესრიგონ ელემენტარული ყოფითი პირობები და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები; მოძებნონ სამსახური.

– ეს ყოველივე ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა ადაპტაციას საზოგადოებაში და რესოციალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის პარალელურად, ჩვენ პრევენციაზეც ვფიქრობთ, რათა არ მოხდეს ისე, რომ მსჯავრდებული დროებით გავიდეს აღნიშნული დაწესებულებიდან და შემდეგ აღარ დაბრუნდეს. შესაბამისად, ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსში და დაწესებულებაში დროულად არ გამოცხადება ჩაითვლება თავის არიდებად და დაისჯება სისხლის სამართლის კანონით დადგენილი წესით, – განაცხადა მინისტრმა.

კახა კახიშვილის განმარტებით, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, რომელიც დროულად დატოვებს პენიტენციარულ დაწესებულებას, საზღვრის დატოვება აეკრძალება.

მინისტრის თქმით, ამ პაკეტის მიღების შემთხვევაში, პენიტენციარული სისტემა კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

ინტერპრესნიუსი

სავაჭრო ქსელში უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრებმა 21 მარტს სავაჭრო ქსელში უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 21 მარტს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრებმა 1364 ღერი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს.

აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო ფილტრიანი სიგარეტი „მასტერ“ (67 კოლოფი და 1364 ღერი), მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, საკონტროლო შესყიდვის შედეგად გამოავლინეს. საქონლის საბაზრო ღირებულებამ 135.2 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს საქონელი ჩამოერთვა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები კი საჩხერის რაიონულ სასამართლოს გაეგზავნა.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

აფეთქება ხარკოვის ოლქში

23 მარტს, დილით, ხარკოვის ოლქის ქალაქ ბალაკლეაში საბრძოლო მასალების საწყობს ხანძარი გაუჩნდა.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საარტილერიო საწყობში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის წარმოება დივერსიის მუხლით დაიწყო.

– საქმის წარმოება დაწყებულია დივერსიის მუხლით. ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ქმედებები, – განაცხადა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის პრესმდივანმა.

უკრაინის სამხედრო პროკურორ ანატოლი მატიოსის განცხადებით, აღნიშნული ხანძრის მიზეზი დივერსიაა. ამის შესახებ მან ფეისბუქის პირად გვერდზე დაწერა.

უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის განცხადებით, ქალაქ ბალაკლეიდან და მიმდებარე სოფლებიდან 20.000 ადამიანის ევაკუირება მოხდა.

ლონდონის ტერაქტი მასწავლებელმა მოაწყო

ინგლისის პოლიციის ანტიტერორისტული განყოფილების უფროსმა როულიმ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ამოცნობილია პირი, რომელიც ლონდონის ცენტრში ხალხს დაერია.

– ჯერჯერობით მისი ვინაობის დასახელება მიზანშეუწონლად მიმაჩნია, – თქვა როულიმ.

ამავე დროს, როულიმ აღნიშნა, რომ მოკლული ტერორისტი ისლამისტურ ცენტრებთან იყო დაკავშირებული.

– როგორც ჩანს, ტერაქტის უკან ისლამური სახელმწიფო დგას, – თქვა როულიმ.

ეს მოსაზრება თავად ისლამურმა სახელმწიფომ დააადასტურა, რომელმაც ლონდონის ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო.

ტერორისტული დაჯგუფების განცხადებით, ტერაქტის შემსრულებელი მათი ჯარისკაცი იყო.

ბრიტანეთის პოლიციის ინფორმაციით, იგი ჰალიდ მასუდი გახლავთ.

მასუდი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის საგრაფო კენტში დაიბადა. 52 წლის მამაკაცი დასავლეთ მიდლენდსში ცხოვრობდა. ასევე ცნობილია, რომ მას რამდენიმე ნასამართლობა ჰქონდა წარსულში, ამ ეტაპზე კი არავითარი გამოძიების ობიექტი არ ყოფილა.

მასუდი დაქორწინებული იყო და მას სამი შვილი ჰყავს. იგი ასევე იყო მასწავლებელი.

მასუდი სამართალდამცავებმა პირველად 1983 წლის ნოემბერში დააკავეს, უკანასკნელად კი მას სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობა 2003 წლის დეკემბერში დანის უკანონოდ შენახვისთვის ჰქონდა. იგი არ იყო გასამართლებული რამე სახის მძიმე დანაშაულისთვის, რომელიც ტერორიზმს უკავშირდებოდა.

ლონდონში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი ხუთამდე გაიზარდა. დაშავებულია 40-მდე ადამიანი.

ნავალნის საარჩევნო შტაბის შენობას ცეცხლი წაუკიდეს

პეტერბურგში უცნობმა პირებმა რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ ალექსეი ნავალნის საარჩევნო შტაბის შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

შტაბის შენობა ქალაქის ცენტრში დგას, სადაც უამრავი პოლიციელია და სათვალთვალო კამერებიც ბლომადაა ჩამონტაჟებული.

– მომხდარს ბრალად ვდებთ ხელისუფლებას, რადგან მან ჩვენ წინააღმდეგ სიძულვილი ხელოვნურად გააღვივა, – განაცხადა ნავალნის თანამებრძოლმა ვოლკოვმა.

სირია: რუსი ჯარისკაცები ჯანდარისის რაიონში შევიდნენ

რუსი ჯარისკაცები შევიდნენ ჯანდარისის რაიონში, რომელსაც ქურთული ფორმირებები აკონტროლებენ.

აღნიშნული რაიონი თურქეთის არმიის ინტენსიურ ცეცხლქვეშ იმყოფება.

ფაქტობრივად, რუსები ქურთებისა და თურქეთის არმიის შუაში ჩადგნენ.

სირიაში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო კონტინგენტში მსხვერპლი იზრდება. კრემლი ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პოროშენკო: „ვორონენკოვი რუსებმა მოკლეს“

გუშინ, 23 მარტს, კიევის ცენტრში რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი დენის ვორონენკოვი მოკლეს.

გამოძიების ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო.

რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი დენის ვორონენკოვი უკრაინაში 2016 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა.

ყოფილი დეპუტატი რუსეთში ფედერალურ ძიებაში იყო გამოცხადებული. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი ყოფილ დეპუტატთან მიმართებით საქმეს თაღლითობის მუხლით იძიებდა. მას ბრალად ედებოდა მოსკოვის ცენტრში 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შენობის ხელში ჩაგდება.

აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვასილი გრიცაკი გამოიძახა.

უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთს დენის ვორონენკოვის მკვლელობა ბრალად დასდო.

– დენის ვორონენკოვის კიევის ცენტრში ვერაგული მკვლელობა რუსეთის მხრიდან სახელმწიფო ტერორიზმის აქტია. დენის ვორონენკოვი იძულებული გახდა, პოლიტიკური მოსაზრებების გამო რუსეთი დაეტოვებინა. დღევანდელ მკვლელობაში რუსული სპეცსამსახურების აშკარა ხელწერაა შესამჩნევი, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ვორონენკოვი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო, კერძოდ, უკრაინაში რუსეთის ჯარის შემოყვანაში იანუკოვიჩის როლთან დაკავშირებით.

– შემთხვევითი არ არის, რომ ეს მკვლელობა და ხარკოვის ოლქში საარტილერიო საწყობში ხანძარი ერთ დღეს მოხდა, – აღნიშნა პეტრო პოროშენკომ.

რუსეთში პრემიერის გადადგომა მზადდება?

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა რაშკინმა (კომპარტია), განაცხადა, რომ ძალოვნებს პრემიერ მედვედევზე კომპრომატების შეგროვების მითითება მისცეს.

რაშკინი ამტკიცებს, რომ უკვე შეგროვდა მასალა, რომელიც პრემიერის კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობაზე მიუთითებს.

– ეს მასალები საგამოძიებო კომიტეტს გადაეგზავნა, – ამბობს რაშკინი.

ექსპერტების აზრით, ხმები მედვედევის შესაძლო კორუმპირებულობის შესახებ შემთხვევითი არ არის და მისი გადადგომა ახლოვდება.

თავად პუტინმა ჟურნალისტებთან საუბარში ეს უარყო.

– მთავრობის მუშაობით კმაყოფილი ვარ, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ხანდაზმულ იაპონელებს მართვის მოწმობაზე უარის თქმის შემთხვევაში შეღავათიან ფასად დაასაფლავებენ

იაპონიის აიტის პრეფექტურაში მცხოვრებ ხანდაზმულ ავტომოყვარულებს საშუალება ეძლევათ თავიანთი მანქანის მართვის მოწმობის ჩაბარების შემთხვევაში დასაფლავების მომსახურებაში მნიშვნელოვანი ფასდაკლება მიიღონ.

იმისთვის, რომ ფასდაკლება მიიღონ, წარდგენილ უნდა იქნას სერტიფიკატი, რომელსაც პოლიცია გასცემს, მანქანის მართვის მოწმობაზე უარის თქმის შემთხვევაში. მისი გამოყენება შეეძლება არა მხოლოდ თავად ყოფილ მძღოლს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, მათ შორის, სხვა პრეფექტურაში მცხოვრებთაც.

ანალოგიური პროგრამები უკვე მოქმედებს იაპონიის რამდენიმე რეგიონში. იქ მართვის მოწმობაზე უარის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლება ტაქსით მგზავრობასა და საზოგადოებრივ აბანოში სიარულზე. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ასეთი ღონისძიებები გზებზე ისეთი ავარიების რაოდენობის შემცირებას მიაღწევენ, რომლებშიც ხანდაზმული მძღოლები ხვდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

თომას მიულერი: „სანაკრებო პაუზის დროს ლიგა შოკიდან გამოსვლას მოასწრებს“

მიუნხენის ბაიერნმა ბავარიულ დერბიში ბორუსიას 1:0 მოუგო და გოლით თომას მიულერი, გამოირჩა, რომელმაც ბოლო დროს ბევრს აკრიტიკებდნენ. მიულერმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მხოლოდ მე-2 გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში და მედიასთან უკვე ხალისიანად საუბრობს.

– ბავარია სატურნირო ცხრილში 13 ქულით უსწრებს მეორეადგილოსანს. რა შეგრძნებები დაგრჩათ „ბორუსია პარკზე“ ჩატარებული მატჩის შემდეგ?

– ჩვენ თამაშიდან სიამოვნება მივიღეთ. კარგი ზეწოლა განვახორციელეთ და ამის გამო მეორე დღეს მთლიანად გამოფიტული ვიყავი.

– ბავარიას უკვე 19 მატჩია, არ წაუგია, ბუნდესლიგაში წარმატებიდან წარმატებისკენ მიდის. როგორ გამოგდით ეს შედეგები?

– ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ჩვენთვის, იგივე ტემპში გაგრძელება გვსურს, რადგან ეს გრძნობა შევინარჩუნოთ. ჩვენ გამარჯვების გრძნობით ვართ შეპყრობილი. როგორც გუნდი შენ ყოველთვის გინდა რომ ძლიერი იყო მეტოქეზე და ეს ჩვენ კვლავ გამოგვივიდა, რაც დამატებით თავდაჯერებულობას გვმატებს.

– წინა წლებში გლადბახთან თამაშები ყოველთვის მძიმე იყო ბავარიისთვის. ბოლო თამაშში ბორუსია პარკზე 2015 წლის დეკემბერში 1:3 წააგეთ, რაც ერთადერთი მარცხი გახლდათ სტუმრად იმ სეზონში.

– ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

– თქვენთვის რას ნიშნავდა ეს გოლი? ეს თქვენი მე-2 გოლი იყო სეზონში, 99 დღის შემდეგ და 848-წუთიანი უგოლო სერიის შემდეგ.

– რა თქმა უნდა, ამ გოლმა გამახარა. ვიცი, რომ ეს საკითხი ამ დრომდე მაწუხებს. თანაგუნდელები გულწრფელად მოხარულნი იყვნენ ჩემ გამო და ეს ყველამ დაინახა, როდესაც გოლს აღვნიშნავდით.

– გოლი, ტიაგოს საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ, არცთუ ისე ადვილი იყო.

– გავრბივარ, ვხედავ ბურთს და ვიცი, რომ თავისუფალი ვარ, მაგრამ 100%-იანი ოპტიმალური კონტროლი არ გამაჩნია ბურთზე. იან ზომერმა გადაწყვიტა, რომ ბურთი კუთხეში გავიდოდა, რაზეც რეაგირება მაშინვე მოვახდინე და გადაწყვეტილება მივიღე.

– ბავარიამ უკვე უზრუნველყო თავისი გამარჯვება ბუნდესლიგაში?

– რა თქმა უნდა, ჯერ არ მომხდარა ასეთი რამ, რომ გუნდს, რომელსაც ასეთი უპირატესობა გააჩნია, ვინმე დასწეოდა. ჩვენც არ ველით, რომ ჩემპიონობას ვინმე წაგვართმევს. თუმცა, კვლავ გვწყურია გამარჯვების გემო ყოველ თამაშში. ამიტომაც ვთამაშობთ ინტენსიურად და სიხარულით. არ დავუშვებთ გაუგებრობას და წინ აუცილებლად ჩვენი გზით წავალთ.

– არიენ რობენი ცოტათი გაღიზიანებული და უკმაყოფილო იყო, რომ 85-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე კი მას გადაცემა არ გაუკეთეს, როდესაც მას გოლის გატანის შანსი ჰქონდა.

– ჩვენ ყველას მაქსიმალური წარმატების მიღწევა გვსურს. მე-2 ტაიმში იყო ეპიზოდი, როდესაც ლევანდოვსკი ეძებდა, თუ ვისთვის მიეწოდებინა ბურთი, არიენი იმ დროს ხელსაყრელ პოზიციაზე იმყოფებოდა და არ გადააწოდა. ეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთელს აღიზიანებს, მაგრამ ჩვენ ყველა ადამიანები ვართ და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ადამიანები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ამ საქმით არიან დაკავებულნი, მრავალი ტიტული აქვთ უკვე მოპოვებული და მაინც ემოციებს გამოხატავენ, იმ დროს როდესაც ანგარიში 1:0 მიგვყავდა, ზუსტად ეს და ასეთი ადამიანები სჭირდება ჩვენ გუნდს.

– რას გვეტყვით იმ ეპიზოდზე, როდესაც იონას ჰოფმანმა არბიტრის კითხვაზე უპასუხა, რომ მასზე წესები არ დარღვეულა?

– ასეთი რამ ხშირად არ ხდება და შექებას იმსახურებს. ვფიქრობ, მისი ქმედება სათანადოდ შეაფასეს როგორც მოედანზე, ასევე ტრიბუნებზეც. შემდეგ ჩვენ დავუთმეთ მათ ბურთი და ამიტომაც ამ ეპიზოდს არც ერთისთვის უსიამოვნება არ მოუტანია. ორივე გუნდისთვის ეს ის ეპიზოდი იყო, როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ სამართლიანი თამაში სპორტში მნიშვნელოვანია და თუ რა მნიშვნელობის შეიძლება იყოს ეს საზოგადოებისთვის.

– რამდენად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ნაკრების თამაშების წინ გლადბახში გოლი გაიტანეთ?

– მე სიხარულით გავემგზავრები ნაკრების განკარგულებაში. შესაძლოა, ბუნდესლიგაში პაუზა კარგია, რადგან ლიგა შოკიდან გამოსვლას მოასწრებს ჩემი გატანილი გოლის გამო.

18-წლამდე ნაკრებმა ფრანგული შეკრება დაასრულა

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრები ევროპის ღია ჩემპიონატისთვის (ყოფილი ელიტ დივიზიონისთვის) ემზადა, რომელიც 6-16 აპრილს საფრანგეთში, ბრეტანში გაიმართება და მანამდე მონპელიეს ბაზაზე 12-დღიანი შეკრება გაიარეს.

უმცროსი ბორჯღალოსნები ჯერ მონპელიესა და ბეზიეს თანატოლთა გაერთიანებულ გუნდს შეხვდნენ, 5 ლელო დაუდეს და 33:17 იმარჯვეს.

მეორე მეტოქე უკვე მონპელიესა და ნარბონის ნაკრები იყო. მწვრთნელებს საქმეში ყველა მორაგბის ხილვა სურდათ და, პირველი მატჩისგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად 12 მოთამაშე შეცვალეს. მიუხედავად ამისა, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ეს მატჩიც მოიგეს. ამჯერად დავით ჩავლეიშვილის შეგირდებმა მეტოქეს უკეთესი სხვაობით – 40:14 აჯობეს.

პირველ ტაიმში ლელოები დავით გობეჯიშვილმა, ბექა ყორიაულმა და ლაშა ლომიძემ დადეს, გობეჯიშვილმა – 2 გარდასახა და 19:7 დავწინაურდით.

შესვენების შემდეგ კიდევ 3 ლელო დავდეთ. თავი ნიკა წივწივაძემ, გოჩა ჩანადირმა და გიორგი ახალაძემ გამოიჩინეს, რევაზ ხარაზიშვილმა კი სამივე გარდასახა.

დღეს ჩვენი 18-წლამდელები სამშობლოში დაბრუნდებიან, რამდენიმე დღე დაისვენებენ და 2 აპრილს ბრეტანში გაემგზავრებიან, სადაც რაგბი ევროპის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალურ ეტაპზე მათი მეტოქე კანადის ნაკრები იქნება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

22 მარტი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ვიეტნამი-ჩინეთის ტაიპეი	1:1
კამბოჯა-ინდოეთი	2:3
ფილიპინები-მალაიზია	0:0
იემენი-პალესტინა	0:1
კვიპროსი-ყაზახეთი	3:1
ჩეხეთი-ლიტვა	3:0
გერმანია-ინგლისი	1:0
შოტლანდია-კანადა	1:1

ამხანაგური მატჩები (21)

საბერძნეთი-უნგრეთი	2:1
საქართველო-ისლანდია	3:1

სერბეთი თბილისში 3 ქულისთვის მოდის

დღეს საქართველოს ნაკრები 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სერბეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. აქამდე ეს გუნდები ერთმანეთს არ შეხვედრიან, ამიტომ უპრიანი იქნება, ცოტა ახლოს გაგაცნოთ სერბეთის ნაკრები.

სერბებმა ფეხბურთში თავიანთ მაქსიმუმს ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნისას მიაღწიეს: ოქროს მედლები 1960 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, მეოთხე ადგილი 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1960 და 1968 წლების ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები. ეს ისტორიაა, რომელიც სერბებმა ხორვატებთან, სლოვენიელებთან, ბოსნიელებთან, მაკედონიელებთან და ჩერნოგორიელებთან ერთად შექმნეს. 90-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავია დაიშალა და ერთობაში შემავალმა ქვეყნებმა ერთმანეთის მიყოლებით გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ამ რთულ პროცესს სისხლისღვრის გარეშე არ ჩაუვლია. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებმა კი, დამოუკიდებელი სტატუსით გააგრძელეს ასპარეზობა.

სერბეთის ნაკრებმა დიდ საფეხბურთო ფორუმზე უკანასკნელად 2010 წელს ითამაშა. სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის სერბებისთვის ძალიან მალე დასრულდა. რადომირ ანტიჩის გუნდი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე განისა (0:1) და ავსტრალიის ნაკრებებთან (1:2) დამარცხდა, შემდეგ გერმანიის ეროვნულ გუნდთან სენსაციური გამარჯვება მოიპოვა (1:0), მაგრამ ეს პლეიოფში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

სერბეთის ნაკრებში რთული დრო დადგა. გუნდს 2010 წლის შემდეგ არცერთ დიდ საფეხბურთო ფორუმზე მონაწილეობა არ მიუღია. უკანასკნელ შვიდ წელიწადში სერბებმა ექვსი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალეს: ანტიჩი, პეტროვიჩი, ჩურჩიჩი (ორჯერ), მიხაილოვიჩი, დრულოვიჩი, ადვოკაატი. 2016 წლიდან გუნდს ავტორიტეტული სპეციალისტი სლავოლიუბ მუსლინი თავკაცობს.

მუსლინს ორმაგი მოქალაქეობა აქვს – სერბული და ფრანგული. 63 წლის სპეციალისტს ზურგს უზარმაზარი გამოცდილება უმაგრებს. 70-იანიდან 80-იან წლებამდე მუსლინი მცველის პოზიციაზე თამაშობდა სერბულ და ფრანგულ გუნდებში. ამპლუის მიუხედავად, მუსლინს კარიერის განმავლობაში 100-მდე გოლი აქვს გატანილი. ცრვენა ზვეზდასთან ერთად სამჯერ გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი, 1979 წელს კი უეფას თასის ფინალურ მატჩში ითამაშა, რომელშიც სერბული კლუბი მიუხენგლადბახის ბორუსიასთან დამარცხდა.

მუსლინმა სამწვრთნელო კარიერა 80-იანი წლების დამლევს დაიწყო და დღემდე ოცამდე გუნდში უმუშავია. მისი სამუშაო არეალიც საკმაოდ შთამბეჭდავია: საფრანგეთი, მაროკო, სერბეთი, ბულგარეთი, უკრაინა, ბელგია, რუსეთი, ბელორუსი, კვიპროსი.

როგორც თავად ამბობს, რუსეთში მუშაობის პერიოდში ბევრ ქართველთან მოუწია მუშაობა და მათი მენტალიტეტის შესახებ ბევრი რამ გაიგო. მისი თქმით, ქართველი ფეხბურთელები ინდივიდუალური თვალსაზრისით ძლიერი შემსრულებლები არიან, მაგრამ ერთ მუშტად შეკვრა უჭირთ. მუსლინის თქმით, საქართველოს ნაკრებმა მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე უფრო მეტი ქულა დაიმსახურა, ვიდრე აქვს. მიუხედავად ამისა, მისი გუნდი თბილისიდან 3 ქულის წაღებას აპირებს.

გუნდლის ლიდერად კაპიტანი ბრანისლავ ივანოვიჩი მოიაზრება – გამოცდილი და მაღალი დონის მცველი, რომელიც წლების განმავლობაში ლონდონის ჩელსიში გამოდიოდა. ფეხბურთელი უკვე 33 წლისაა, მისი კარიერა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება და წელს ინგლისის პრემიერლიგიდან რუსეთში დაბრუნდა, სადაც სანკტ პეტერბურგის ზენიტის ღირსებას იცავს. ივანოვიჩი უკვე ასაკშია და მისთვის ეს საკვალიფიკაციო ეტაპი, ალბათ, ბოლო შანსია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ მოხვდეს.

ივანოვიჩი სერბეთის ეროვნულ გუნდში 2005 წლიდან გამოდის. მას შემდეგ სერბმა მცველმა საერთაშორისო დონეზე 92 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი მიითვალა. ივანოვიჩმა ბოლოს სანაკრებო ბურთი სწორედ ამ საკვალიფიკაციო ეტაპზე, მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში (3:0) გაიტანა.

სერბეთის ნაკრები მიმდინარე საკვალიფიკაციო ციკლში საკმაოდ კარგად გამოიყურება: გუნდმა 2 შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა, 2 კი – ფრედ. პირველ ტურში სერბები შინ ირლანდიელებს დაუზავდნენ (2:2), შემდეგ გასვლაზე მოლდოვის ნაკრები დატოვეს უშანსოდ (3:0), შინაურ კედლებში ავსტრიელები მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს (3:2), ხოლო მეოთხე ტურში უელსელებთან ფრედ ითამაშეს (1:1). სერბეთის ნაკრებს აქტივში 8 ქულა აქვს და ქვეჯგუფის მე-2 ადგილზე იმყოფება.

სათბილისოდ სერბთა შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ვლადიმირ სტოიკოვიჩი (ნოტინგემი, ინგლისი), პრედრაგ რაიკოვიჩი (მაკაბი, ისრაელი), ალექსანდრ იოვანოვიჩი (ორჰუსი, დანია);

მცველები: ბრანისლავ ივანოვიჩი (ზენიტი, რუსეთი), იაგოშ ვუკოვიჩი (ქონია, რუსეთი), სტეპან მიტროვიჩი (გენტი, ბელგია), ნიკოლა მაქსიმოვიჩი (ნაპოლი, იტალია), ალექსანდრ კოლაროვი (სიტი, ინგლისი), ანტონიო რუკავინა (ვილიარეალი, ესპანეთი), უროშ სპაიჩი, მილან ობრადოვიჩი (ორივე ანდერლეხტი, ბელგია);

ნახევარმცველები: ნემანია გუდელი (აიაქსი, ჰოლანდია), ლუკა მილივოევიჩი (კრ.პალასი, ინგლისი), ნემანია რადოია (სელტა, ესპანეთი), დუშან ტადიჩი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ფილიპ კოსტიჩი (ჰამბურგი, გერმანია), მიატ გაჩინოვიჩი* (აინტრახტი, გერმანია), ლაზარ მარკოვიჩი (ჰალი, ინგლისი), ზორან ტოშიჩი (ცსკა, რუსეთი), ნემანია მატიჩი (ჩელსი, ინგლისი);

თავდამსხმელები: ალექსანდარ მიტროვიჩი (ნიუკასლი, ინგლისი), ნიკოლა სტოილკოვიჩი (ბრაგა, პორტუგალია), უროშ ჯურჯევიჩი (პარტიზანი).

ახალგაზრდულმა ნაკრებმა სეზონი გამარჯვებით დაიწყო

საქართველო-ისლანდია 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 კიტეიშვილი (7), 1:1 ეინარსონი (59), 2:1, 3:1 ჭანტურია (66, 88)

საქართველო: ქურდაძე, გიორბელიძე (ლოჩოშვილი 46), მარგველაშვილი, ჭიჭინაძე (კობოური 73), ხარაიშვილი (ბიძინაშვილი 73), ალთუნაშვილი (ჩაკვეტაძე 61), მიქელთაძე (ჭანტურია 61), შულაია (ჩაჩუა 73), მამუჩაშვილი (მაჭარაშვილი 73), იმნაძე (ზარანდია 61), კიტეიშვილი (კიკნაძე 73)

ისლანდია: ოლაფსონი, სამსტედი (კრისტინსონი 63), შევინგი (ლეიფსონი 63), ჰ.ვ. გუდმუნდსონი (სტეფანსონი 63), ანდერსონი (ჰ.ი.გუნარსონი 63), მაგნუსსონი (გ. ს. გუნარსონი 63), სიგურგეირსონი (იონასონი 63), ეინარსონი (ინგასონი 63), ჰარალდსონი (კონრადსონი 63), ა. გუდმუნდსონი (რაგნარსონი 63), ი. დ. ტორსტეინსონი (ს. ტორსტეინსონი 63)

წარმატებით დაიწყო საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2017 წელი. მთავარი ის არის, რომ გია გეგუჩაძე ახალ გუნდს ქმნის, რომელიც პირველად შეიკრიბა ამ შემადგენლობით და ეს მოგებაც ამიტომ არის სასიხარულო. თუმცა, თამაშს იდეალურს ვერ დავარქმევდით – ბლომად იყო შეცდომები, მათ შორის უხეშიც, რომელიც გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. ისლანდიასთან 25 მარტს მეორე მატჩიც გვაქვს და შემდეგ მეტი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

მნიშვნელოვანი იყო პირველი გოლის ფაქტორიც: დასაწყისშივე დავწინაურდით ოთარ კიტეიშვილმა გიორგი ხარაიშვილის პასის შემდეგ თავურით დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

ისლანდიელებს მალევე შეეძლოთ გათანაბრება – ალბერტ გუდმუნდსონი ბექა ქურდაძესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა. შემდეგ უკვე ხარაიშვილს მიეცა 2 შანსი, მაგრამ ჯერ მეკარემ აჯობა, შემდეგ კი სიზუსტე დააკლდა.

მეორე ტაიმი ისლანდიელთა უპირატესობით დაიწყო. ჯერ გუდმუნდსონს ვერ გამოიყენა მომენტი, შემდეგ კი ჩვენი დაცვა ჩავარდა და ისლანდიელებმა საჯარიმოს ჩაწოდების შემდეგ ძალიან იოლად გაგვითანაბრეს.

1:1 და ისლანდიელთა დამრიგებელმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო – მოედნიდან 10-ვე ფეხბურთელი გაიყვანა და საქმეში სათადარიგოები ჩართო. სანამ ახლები საქმეში გაერკვეოდნენ საქართველოს ნაკრები დაწინაურდა: კიტეიშვილი-ჩაკვეტაძე-ჭანტურიას კომბინაცია გოლით დასრულდა.

მატჩის ბოლოს ჭანტურიამ დუბლი შეასრულა და საბოლოო წერტილი დასვა.

გია გეგუჩაძე:

– შედეგი რა თქმა უნდა სასიხარულოა, მაგრამ გამოჩნდა რომ, სამუშაო ბევრია. ამ მატჩს სხვა დატვირთვა ჰქონდა – ჩვენ, ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაკეთებთ და ახალ ფეხბურთელებს ვცდით. ამისთვის ამხანაგურ მატჩებს გამოვიყენებთ. ვმართავთ მოლაპარაკებას კიდევ ერთ პოტენციურ მეტოქესთან და ესეც თითქმის გარკვეულია. ოფიციალურად რომ მორჩება ყველაფერი, მერე გამცნობთ. გვყავს ტრავმირებულებიც და ისინიც, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ. ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, რათა საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკურჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ივარჯიშეთ ზომიერად

ეკა ირემაშვილი

დამტკიცებულია, რომ ფიზიკური აქტივობა ორგანიზმის ცალკეული სისტემების ფუნქციონირებაზე დადებითად მოქმედებს. ვარჯიში სასარგებლოა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, რადგან მცირდება მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადების – პროსტატის, ძუძუს, ნაწლავების სიმსივნის, ოსტეოპოროზის განვითარების რისკი, ქვეითდება ინსულინრეზისტენტობა, არტერიული წნევა, დეპრესია, შფოთვები, დემენცია, წესრიგდება ცხიმოვანი ცვლა.

რას ნიშნავს სპორტული კარდიოლოგია და ვისთვის არის ის განკუთვნილი? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის კარდიოლოგი, ექოკარდიოსკოპისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ნიკოლაიშვილი საუბრობს.

– რა ტიპის ფიზიკური აქტივობაა განსაკუთრებით სასარგებლო?

– სტატიკური, ანუ ძალისმიერი ვარჯიშები ემსახურება კუნთების ზრდას, მათ გამკვრივებასა და გაძლიერებას. ამ დროს ჟანგბადის მოხმარება მინიმალურია და ის იმ კუნთის მასის პროპორციულია, რომელზეც მოდის დატვირთვა. დატვირთვები ზრდის ძვლის ქსოვილის, კუნთების სიმკვრივეს, აძლიერებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს ძილს და ძალიან ეფექტურია მათთვის, ვისაც წონაში დაკლება სურს. დინამიკური ტიპის, გამძლეობაზე დაყრდნობილი ფიზიკური აქტიურობის დროს ჟანგბადზე მოთხოვნილება საგრძნობლად იზრდება.

მსუბუქი და საშუალო ინტენსივობის ფიზიკური ვარჯიშები ძირითადად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ზრდის მათ ფუნქციონირებას, ამიტომ მათ კარდიოდატვირთვებსაც უწოდებენ, ხოლო მაღალი ინტენსივობის აერობული ვარჯიშები განაპირობებს არა მარტო გულის, არამედ კუნთების დატვირთვასაც და აღარ წარმოადგენს მხოლოდ აერობულ დატვირთვებს, ამიტომ მათ კომპლექსურს უწოდებენ.

– ვარჯიშების ყველაზე კარგ სახეობად რა არის მიჩნეული?

– სიარული, ზომიერი სირბილი, ცურვა – ვარჯიშების ყველაზე იდეალური სახეობაა ნებისმიერი ასაკისა და სხეულის აღნაგობის პირებისთვის. ის საჭიროებს მინიმალურ დაძაბვას, მაგრამ მოაქვს მაქსიმალური სარგებელი, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს გულის მუშაობას, ამცირებს სტრესსა და დაძაბულობას, ხელს უწყობს მშვიდ ძილს.

ზრდასრულმა ადამიანმა უნდა ივარჯიშოს ზომიერი დატვირთვით 30 წუთი კვირაში არანაკლებ ხუთი დღე და მაღალი ინტენსივობით 20 წუთი კვირაში არანაკლებ 3 დღე.

დონალდ ტრამპის შვილიშვილმა ფეხი მოიტეხა

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შვილიშვილმა ტრისტანმა ფეხი მოიტეხა. ინციდენტი ამერიკის სამთო-სათხილამურო კურორტ ასპენში მოხდა, რომელიც კოლორადოს შტატში მდებარეობს და სადაც ბავშვი მშობლებთან და თავისი დეიდის ივანკა ტრამპის ოჯახთან ერთად იმყოფებოდა.

ტრისტანი იმ დროს დაშავდა, როდესაც ის სამთო თხილამურებით სრიალებდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც ბავშვის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ტრისტან ტრამპი 2011 წელს დონალდ ტრამპი-უმცროსის ოჯახში დაიბადა. მას ჰყავს ორი და (ათი წლის კეი მედისონი და სამი წლის ჰლოი სოფია) და ორი ძმა (შვიდი წლის დონალდ ჯონ III და ხუთი წლის სპენსერ ფრედერიკი).

ფრანგი ჟანდარმი ოთხი წლის მოწყენილ გოგონას 45 წუთი ართობდა

სახლში მყოფმა მოწყენილმა ოთხი წლის გოგონამ, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ბოვეში ცხოვრობს, ექსტრემალურ სამსახურში დარეკა, რათა იქ მყოფ თანამშრომელს ტელეფონზე გასაუბრებოდა. ამ ინფორმაციას ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ჟანდარმერიის დეპარტამენტი ავრცელებს.

გოგონა სახლში მარტო იყო დარჩენილი და მან მოწყენილობისგან მთავარი ექსტრემალური ნომერი „17“ აკრიფა. ჟანდარმი, რომელმაც გოგონას ზარს უპასუხა, 45 წუთის მანძილზე ართობდა, სანამ მისი მშობელი მაღაზიიდან დაბრუნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ პატარა გოგონა მეტად ცნობისმოყვარე აღმოჩნდა და უამრავ შეკითხვას უსვამდა. ამასთან, სახლში დაბრუნებული დედა გაკვირვებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ მისი შვილი ჟანდარმს დიდი ხნის მანძილზე ესაუბრებოდა ტელეფონზე.

მოგვიანებით სახლში პატრულის თანამშრომლები მივიდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველაფერი კარგად იყო და გოგონას ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა. მათ ასევე შეახსენეს მშობელს, რომ ბავშვის სულ მცირე ხნითაც კი სახლში მარტო დატოვება სახიფათოა.

ჟანდარმერიის წარმომადგენლის თქმით, გოგონას ძალიან მოეწონა მათ თანამშრომელთან საუბარი და სურს, რომ ამისთვის მას მადლობა საჩუქრით და თავის დაბადების დღეზე მიწვევით გადაუხადოს.

ჯორჯ კლუნიმ 87 წლის მოხუცს დაბადების დღე მიულოცა

ამერიკელმა მსახიობმა ჯორჯ კლუნიმ მოხუცებულთა სახლი მოინახულა, რომელიც ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოში, სოფელ სონინგში მდებარეობს, რათა იქ მცხოვრები თავისი თაყვანისმცემლისთვის დაბადების დღე მიელოცა.

დაწესებულების თანამშრომლებმა ადრევე მისწერეს კლუნის წერილი და 87 წლის ქალბატონზე უამბეს, რომელსაც მისი ნახვა გააბედნიერებდა. მათ მსახიობს სთხოვეს, რომ მოხუც ოცნება აესრულებინა.

კლუნი კვირა დილას მართლაც მივიდა მოხუცებულთა სახლში და კარზე ზარი დარეკა. სახლის კონსიერჟის თქმით, როდესაც ცნობილი მსახიობი კართან მდგომი დაინახა, გაოგნდა. კლუნიმ ხანდაზმულ თაყვანისმცემელს ყვავილების თაიგული და მისალოცი ბარათი გადასცა.

სამი წლის ბავშვის პითონთან თამაში ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ნიუ იორკის შტატის ქალაქ გრინბურგში სამი წლის გოგონას მამამ ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ ეთამაშება მისი ბავშვი სამ სამეფო პითონს.

გოგონას, სახელად ჯენინს, გაღიმებულს უჭირავს ხელში გველები. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის მამა სამეფო პითონების საკუთარ სახლში მოშენებითაა დაკავებული. მისი თქმით, რეპტილიები ბავშვისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

გერმანელი სტილისტი კლიენტებს მასაჟს პითონით უკეთებს

გერმანიის ქალაქ დრეზდენში მდებარე ერთ-ერთი სილამაზის სალონი კლიენტებს კისრის მასაჟს ცოცხალი პითონით სთავაზობს.

სილამაზის სალონის მფლობელი ფრანკ დოლენი ამტკიცებს, რომ მასაჟის ამგვარ მეთოდს სამხრეთ აფრიკაში ყოფნის დროს გაეცნო. გერმანიაში დაბრუნებულმა გადაწყვიტა ამ საქმისთვის თავისი 13 წლის სამეფო პითონი, სახელად მონტი, გამოეყენებინა.

მონტის სიგრძე ერთ მეტრს აღემატება, ხოლო წონა 2,4 კილოგრამს შეადგენს. დოლენის თქმით, პითონის სხეულის 90 პროცენტი კუნთებისგან შედგება, რაც ამ ქვეწარმავალს იდეალურ მასაჟორად აქცევს.

ამ სახის მომსახურებაზე წინასწარ ჩაწერაა აუცილებელი.

– სილამაზის სალონში ტერარიუმისთვის ადგილი არ არის, – განმარტავს დოლენი, – ამიტომ მონტი კლიენტების მოთხოვნილების მიხედვით მომყავს.

ბოლო დროს ამის გაკეთება კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც უწევს. 30-წუთიანი სეანსის ღირებულება 35 ევროა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 მარტისათვის

ვერძი – სახლშიც და სამსახურშიც არასტაბილური სიტუაციაა. ნუ დაიძაბებით და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. **კურო** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. **ტყუპები** – გარშემომყოფებისგან მხარდაჭერასა და თანადგომას იღებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საქმიანი კონტაქტებისათვის იღბლიანი პერიოდია. ეცადეთ, დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ გამოასწოროთ. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში გარეშე პირებს ნუ ჩარევთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **ქალწული** – ადამიანები, რომლებსაც ენდობოდით და მოკავშირეებად მიიჩნევდით, მახეს გიგებენ. ნუ იქნებით მეტისმეტად მიამიტი. **სასწორი** – ახლობლები გვერდში გიდგანან და პრობლემების მოგვარებაში გეხმარებიან. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **ღრიანკალი** – დაწყებული საქმე დიდ ძალისხმევასა და პროფესიულ ცოდნას მოითხოვს. ემოციები აკონტროლეთ. **მშვილდოსანი** – მიენდეთ ინტუიციას. სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებას ერიდეთ. **თხის რქა** – თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია ძალიან დაიძაბება. ნუ გარისკავთ. **მერწყული** – ადრე დაწყებული საქმე დაამთავრეთ, თორემ იღბალი ზურგს გაქცევთ. ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. ნებისყოფა მოიკრიბეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 2. ქალთა განცალკავებული საცხოვრებელი მუსლიმანურ სახლებში; 3. წყალსა და წებოში გაზავებული სახატავი საღებავი; 5. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ნორმალურ ღირებულებასთან შეფარდებით; 6. ბრიტანული ყველი; 8. მონასტერი სამაჩაბლოში; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 15. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 19. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე.

თარაზულად: 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სადოღე ცხენი; 9. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 10. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 12. მონასტერი რაჭაში; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 17. პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე წყლის, ნავთობის ამოსაქაჩად; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფუგა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. ვატერლოო; 6. ყუმი; 7. ხარფუხი; 10. ჯორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. ბეკი; 16. სხალთა; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

თარაზულად: 1. ფიდელიო; 3. ქაბაბი; 8. მარულა; 9. გაჯი; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდერი; 23. ალიევი; 25. უთო; 26. ლისი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიკაპი; 2. რინიტი; 3. იფქლი; 5. გემა; 6. თაგორი; 8. მორენო; 11. აბსოლუცია; 13. მუტრუკი; 14. ქანქარა; 15. გოდერძი; 19. იორი.

თარაზულად: 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. კეიტონი; 9. ლაკოსტა; 10. პაქტი; 12. სტეტსონი; 16. მონიუშკო; 17. ეტალონი; 18. აქუბარდია; 20. იაგუარი; 21. თითა; 22. კოსტიოლი.

„მანდარინების“ მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი გარდაიცვალა



70 წლის ასაკში ფილმ „მანდარინების“ მთავარი როლის შემსრულებელი ესტონელი მსახიობი ლემბიტ ულფსაკი გარდაიცვალა. ესტონური კინოს ვარსკვლავი ქართველმა მაყურებელმა ზაზა ურუშაძის ფილმით გაიცნო.

„ოქროს გლობუსსა“ და „ოსკარზე“ ნომინირებულ ფილმში ქართველი და ესტონელი მსახიობები მონაწილეობდნენ. „მანდარინები“ საქართველოსა და ესტონეთის ერთობლივი ნამუშევარია. მასში მთავარ როლებს მიხეილ მესხი, გიორგი ნაკაშიძე, ლემბიტ ულფსაკი და ელმო ნიუგანენი თამაშობენ. ფილმის სიუჟეტი აფხაზეთის ომის დროს ვითარდება. ლემბიტ ულფსაკი ფილმში აფხაზეთში მცხოვრები ესტონელი მოხუცის, ივოს როლს ასრულებდა.

ლემბიტ ულფსაკის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ზაზა ურუშაძემ გაავრცელა:

– ძალიან დამწყდა გული, გარდაიცვალა „მანდარინების“ მთავარი როლის შემსრულებელი, ჩემი უფროსი მეგობარი და არაჩვეულებრივი ადამიანი ლემბიტ ულფსაკი.

მამუკა ჩარკვიანი სცენას უბრუნდება



მომღერალი მამუკა ჩარკვიანი სცენას უბრუნდება. 30 მარტს მისი დიდი ხნის ოცნება განხორციელდება და თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში შემოქმედებითი საღამო „ყველა გიტარას მე დავარქმევ სახელს მამუკას“ გაიმართება.

არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ერთადერთი ოცნება აქვს ცხოვრებაში – გამართოს კონცერტი ყველანაირი ფონოგრამის გარეშე და მის საღამოზე მუსიკოსებმა დაუკრან. კომპოზიტორისა და ავტორ-შემსრულებლის ეს ოცნება ახდა და მამუკა ჩარკვიანის ერთგული მსმენელი ამ სიამოვნებას მიიღებს.

შემოქმედებითი საღამოს რეჟისორი გაგა გოშაძეა, კონცერტს კი რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე გაუძღვება.

ეს კონცერტი მამუკა ჩარკვიანის სხვა კონცერტებისგან იმით განსხვავდება, რომ კომპოზიტორის სიმღერებს ახალგაზრდა მომღერლები იმღერებენ. მამუკა ჩარკვიანის ჰიტებს ნოდიკო ტატიშვილი, გიგი ადამაშვილი, ნინი ბადურაშვილი, ოთო ნემსაძე, აჩიკო ნიჟარაძე, დათუნა მგელაძე, გიორგი მეფისაშვილი, ლიზა ჩიჩუა, ლენკა ზვიადაძე, ლევან კბილაშვილი სრულიად ახლებურად ააღღერებენ.

ანდრია გველესიანი ტელეწამყვანი გახდა

ახმეტელის თეატრის მსახიობი და მომღერალი ანდრია გველესიანი ტელეწამყვანი გახდა.

ხელოვანი „იმედის დილის“ გუნდს შეუერთდა და ამიერიდან თავის ერთგულ მაყურებელსა და მსმენელს დილაუთენია მიესალმება.

ანდრია გველესიანი ფართო საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიღო მონაწილეობა. მან და მისმა მეწყვილე სალომე ჭაჭუამ ფინალამდე მიაღწიეს, თუმცა პროექტის მოგება ვერ შეძლეს და პირველობა სტანისლავ ბონდარენკოს დაუთმეს.

როგორც მომღერალი, ანდრია მონაწილეობდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ მუსიკალურ პროექტებში, სადაც არანაკლებ წარმატებას მიაღწია.

როგორც ანდრია გველესიანი აცხადებს, „იმედის დილის“ გუნდს მარტივად შეეწყო და სატელევიზიო სფეროში მუშაობა მისი მრავალფეროვანი მიმართულებების კიდევ ერთი ახალი საფეხურია.

სამგლოვიარო განცხადებები

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი მისი ხელმძღვანელის ამირან მექვაბიშვილის სახით მწუხარებით იუწყება სახელოვანი პიროვნების, ექიმ

გოგიტა ქერქაძის

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ელენე ახვლედიანის შთამომავლებს ბინიდან ასახლებენ

ცნობილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის შთამომავლებს კერძო მევახშე ბინიდან ასახლებს.

ხელოვანი იკა ახვლედიანი სამი მცირეწლოვანი შვილით, მეუღლითა და მოხუცი დედით ქუჩაში რჩება.

ინფორმაცია ხელოვანის მეგობრებმა გაავრცელეს:

– სოს! იკა ახვლედიანს სამი მცირეწლოვანი ბავშვით სახლიდან ასახლებს მევახშეების ცნობილი „ბომონდი“, თავის დროზე 2 თვის პროცენტის გამო ბინა გადაიფორმეს, კაპიკებში ხელში ჩაიგდეს.

ამ ამბავს მისი მეუღლის დედაც შეეწირა. საქმის მწარმოებელი, მფარველი და ადვოკატი თვით ქალაქის მერ ნარმანიას ძმა გახლავთ, ძნელია მასთან ბრძოლა და სამართლიანობაზე საუბარი. დღეს აღმასრულებლები იყვნენ მისული და ერთი კვირა მისცეს ბინის დასაცლელად.

ასე რომ, ერთ კვირაში კიდევ ერთი შემოსავლის არმქონე ოჯახი დარჩება უსახლკაროდ წილხვედრში. ნარმანიების კლანი კარგად იყოს და ელენე ახვლედიანის მონაგარს რად უნდა თბილისში სახლი ბლიად!? „ძირს“ ხალხი! „დიდება“ მევახშეებს და თქვენი დედაც!!!

როგორც ოჯახის ახლობლები აცხადებენ, რამდენიმე წლის წინ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად ბინა იპოთეკით იქნა დატვირთული. ოჯახი რეგულარულად იხდიდა საკმაოდ მაღალ პროცენტს 3 წლის განმავლობაში და მხოლოდ 2 თვის გადაუხდელობის გამო მევახშემ აღმასრულებელი სამსახურის დახმარებით ბინა კაპიკებში გადაიფორმა.

მხატვარი და ხელოვანი იკა – ერეკლე ახვლედიანი მეუღლესთან, მოხუც დედასა და სამ მცირეწლოვან – 7, 4, 1 წლის შვილებთან ერთად ქუჩაში რჩება! ოჯახს საშუალება არ აქვს, ეს პროცესი შეაჩეროს, შეინარჩუნოს თავისი ისადაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი ავარიული ბინა და არ მოუწიოს ღამის ქუჩაში გათენება.

– ვისაც გული შესტკივა ამ უსამართლობაზე, უმორჩილესად გთხოვთ, იქნებ დაგვეხმაროთ, რომ ეს პროცესი ვადაში გაიწელოს და ადვოკატის დასაქირავებელი და საბუთების შესაგროვებელი თანხა 2000 აშშ დოლარი მაინც შეგროვდეს. თითოეული ჩვენგანის გულისხმიერებამ და გადარიცხულმა თუნდაც ლარმა შეიძლება ერთი კარგი, კეთილი და ნიჭიერი ოჯახი დაღუპვისგან იხსნას, – აცხადებს იკა ახვლედიანის მეგობარი და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნათია გუბენკო.

ელენე ახვლედიანის შთამომავლების დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

„ქართული სუფრა“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებით, „ქართულ სუფრას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

შესაბამისი ბრძანება მაცნეში უკვე გამოქვეყნდა:

– საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის 02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს – ქართული ტრადიციული სუფრის-პურობის კულტურას – ქართული სუფრა.

დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სელფის გადაღების მცდელობისას ჩინელი კლდიდან გადავარდა

ჩინელი მამაკაცი, რომელიც სურათის გადასაღებად კლდეზე პოზირებდა, ხევში გადავარდა. ამ შემთხვევის ამსახველი 29-წამიანი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

პირველ კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს ყვითელ შარვალსა და მწვანე პერანგში გამოწყობილი მამაკაცი, კლდის შვერილზე ხელებზე დადგეს. ამის შემდეგ ის კამერის წინ პოზირებს, შემდეგ კი კლდის შვერილზე ეკიდება, მაგრამ თავს ვეღარ იკავებს და შეშინებული თვითმხილველების ყვირილის თანხლებით ქვევით ვარდება.

ერთ-ერთი ჩინური გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცი გვარად დუ, მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა მთა ცზიტონგზე. მან ერთ-ერთ მათგანს სთხოვა, რომ მისთვის ფოტო იმ მომენტში გადაეღო, როდესაც ის სახიფათო პოზაში იქნებოდა. თავად დუს თქმით, მან წონასწორობა დაკარგა და რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეში ჩავარდა. საბედნიეროდ, ის მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა.

ინდოელმა პოლიციელმა ქუჩაში გაზის ბალონის ჩაქრობის მასტერკლასი მოაწყო

ნიუ-დელიში პოლიციის თანამშრომელმა სუშილ კუმარმა აალებული გაზის ბალონის ჩაქრობის ინსტრუქტაჟი ქუჩაში შეკრებილ ხალხს ჩაუტარა.

სამართალდამცავმა მაყურებლებს აჩვენა, თუ როგორ უნდა შემოახვიონ ცეცხლწაკიდებულ გაზის ბალონს სველი ქსოვილი. კუმარმა დამსწრეებს განუმარტა, რომ ეს ცეცხლის ალისთვის ჟანგბადის მიწოდებას გადაკეტავს და ცეცხლს ჩააქრობს, მაგრამ, იმავე დროს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავდაპირველად აუცილებელია საავარიო სამსახურის გამოძახება.

კუმარმა მასტერკლასის ამსახველი ვიდეორგოლი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა და თავის ხელმომწერებს მოუწოდა, სხვა ინტერნეტმომხმარებლებისთვისაც გაეზიარებინათ. ორ დღეში ვიდეოჩანაწერმა 41 ათასი მოწონება მიიღო, ასევე – 1700 კომენტარი და დაახლოებით 260 ათასი გაზიარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

პარასკევი
24 მარტი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ნიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **15.00, 03.05** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. უჯრედში მოგზაურობა" **20.30** საქართველო-სერბეთის წინასამატჩო გადაცემა. **20.50 2018** წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **საქართველო - სერბეთი.** (დინამო-არენადან.) **23.00** მხ/ფ "**გრძნობა და გონება**" (ჰ.გრანტი) **01.00** მხ/ფ "**აბორეული კედრებს**" (ი.ჰოუკი)

08.00 დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **09.00** დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **11.10** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **20.30** "ბრიფინგის დრო" **21.00** "ეპიცენტრი" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**რკინის უნი**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაბარაკალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** მხ/ფ "**ღითელი განთიადი**" **00.00** მხ/ფ "**ხაზი**" **02.00** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია**" **03.45** მხ/ფ "**მკვლელის ბუნია**"

06.00, 16.55 სერ. "**ოქროს გალია**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.00** კურიერი **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **7 23.30** სერ. "**სამშობლო**" **7**

08.00 ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**შვილები**" **13.00** სერ. "**სიბარბოლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** სერ. "**გოთამარა**" **22.30** მხ/ფ "**არმაგედონი**" **01.15** მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**"

06.15 კვირიაკე **07.15** დ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა"| ნან. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **12.10** პორტრეტები **13.05** აქტუალური თემა-ბედისწერა **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთი წვეთი **15.50** სამყაროს შექმნა **16.00** ივერიის ეკლესია **16.15** დ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **17.20** IV კვირის სამოციქულო საკითხის განმარტება **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ/ფ "**დასა თუთაშხია**" V სერ. **20.40** ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ანანური, ერისთავთა საგა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა"| ნან. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**ჯარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**ბარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **0.30** სერ. "**ღითელი ფეხსაცმლის დღიური**" **1.00** მხ/ფ "**მეჯვარე**"

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4498

ევრო — 2.6436

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0542

100 რუსული რუბლი — 4.227

ამინდის პროგნოზი 24 მარტისთვის



13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

დასახვრეტი საქმე

წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

ნიურნბერგის პროცესი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

ორსულობა და მშობიარობა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

მამა ბავშვს აძინებს. ნახევარი საათის შემდეგ დედამ ოთახში შეიხედა და კითხულობს:

– დაეძინა?

– ჰო, დედიკო, დაეძინა.

•••

განცხადება:

– გუშინ ჩვენი ქალაქის ქუჩებში ადგილი ჰქონდა სექსუალური უმცირესობების და სექსუალური უმრავლესობის წარმომადგენლების შეტაკებას. სექსუალური უმცირესობის უმრავლესობა საავადმყოფოებში იქნა გადაყვანილი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ტელეფონი მომპარეს.

– პოლიციაში იყავი?

– არა, იმათ არ აუღიათ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, გახსოვს, სექსი რომ გვქონდა ბუნებაში?

– მერე?

– კიდევ მინდა.

– რა, სექსი?

– არა, ბუნებაში ყოფნა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ახალ ბინაში გადავედით მე და ჩემი მეუღლე.

– მერე, როგორია?

– ცოლს შევეკითხე, როგორი სმენადობაა-მეთქი და კედლის მეორე მხრიდან მეზობელმა მიპასუხა: „შესანიშნავი!“

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მთელი ცხოვრება ერთ მამაკაცთან იცხოვრო?

– შემიძლია, მაგრამ მეცოდება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, რატომ ეძახიან პატარამკერდიან ქალებს ჯადოქრებს?

– რატომ?

– ხელებს მაღლა რომ სწევენ, ძუძუები უჩინარდება!

•••

ველურებმა ეგზოტიკის მოყვარული ტურისტი დაიჭირეს, შეკრეს, დიდი ცეცხლი დაანთეს და ზედ ქვაბი შემოდგეს. ერთ-ერთი ველური ტურისტს ეკითხება:

– რა გქვია?

– ჩემი სახელი რაში გაინტერესებთ? მაინც უნდა შემჭამოთ!

– იმიტომ, რომ მენიუში უნდა შევიტანოთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

21 მარტიდან

რეი ბრედბერი

მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი

ბარსელონას ისკოს შეძენა სურს

ბარსელონა მადრიდის რეალის ნახევარმცველ ისკო ალკორკონს არ ეშვება და სურს, ეს ფეხბურთელი კატალონიური გუნდის წევრი გახდეს.

ისკოს არა აქვს სტაბილური ადგილი რეალის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ, სავარაუდოდ, ის ზაფხულში რეალს დატოვებს.

მისი შეძენა რამდენიმე იტალიურ კლუბსაც სურს, თუმცა ისკომ აღიარა, რომ ბავშვობაში ის ბარსელონის გულშემატკივარი იყო, ამიტომ, არ არის გამორიცხული, ბარსელონამ საწადელს მიაღწიოს.

ისკო რეალში 2013 წელს გადავიდა და პერიოდულად აღწევდა ხოლმე წარმატებას თავის გუნდთან ერთად, თუმცა, მაღალი კონკურენციის გამო, რეალის ლიდერი ვერ გახდა.

ისკოს ტრანსფერი რეალს საკმაოდ ძვირი დაუჯდა, ამიტომ სამეფო გუნდი მას ადვილად არ დათმობს.

ინტერესი ანხელ დი მარიათი დაინტერესდა

ტურინის იუვენტუსი ზაფხულში პსჟ-ს ფორვარდ ანხელ დი მარიას ყიდვას შეეცდება. დი მარია პსჟ-ში ბედნიერი არ არის და მას ამ კლუბის დატოვება სურს.

იუვენტუსს ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა უნდა და დი მარია მისი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა დი მარია, სავარაუდოდ, იუვენტუსს უარს არ ეტყვის, რადგან იუვენში ორი არგენტინელი, გონსალო იგუაინი და პაულო დიბალა თამაშობენ, რომლებსაც დი მარია კარგად იცნობს.

იუვენტუსს ეს ტრანსფერი, მინიმუმ, 50 მილიონი ევრო დაუჯდება.

არსენალი არდა თურანში 25 მილიონ ევროს იხდის

ლონდონის არსენალი ბარსელონის თურქ ნახევარმცველ არდა თურანში 25 მილიონ ევროს იხდის.

არსენალი მესუტ ოზილის შემცვლელს ეძებს, რომელიც, სავარაუდოდ, ზაფხულში გუნდს დატოვებს. ოზლის კონფლიქტი აქვს არსენალის ხელმძღვანელობასთან და მისი წასვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

რაც შეეხება არდას, ის ბარსელონაში საკმაოდ ხშირად გამოდის მოედანზე, თუმცა გუნდის ლიდერად არ ითვლება, ამიტომ 25 მილიონად ბარსელონა მის გაშვებაზე უარს არ იტყვის. თურანი ბარსელონაში 2015 წელს გადავიდა, მანამდე კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას იცავდა.

ლევან მჭედლიძე რომასთან მატჩში დაბრუნდება

საქართველოს ნაკრებისა და ემპოლის ფორვარდი ლევან მჭედლიძე აპრილის დასაწყისში რომასთან შეხვედრაში დაბრუნდება.

მჭედლიძეს უკვე თითქმის ორი თვე გაუცდა და ის თებერვლის დასაწყისიდან ტრავმირებულია. თავიდან მისი ტრავმა სერიოზული არ იყო, მაგრამ მას არასწორად უმკურნალეს, რამაც გართულებები გამოიწვია.

ამჯერად საქმე უკეთესად არის და ლევანმა ფეხი თითქმის მოირჩინა. მჭედლიძე წლევანდელ სეზონში ემპოლის მთავარი ბომბარდირია და მის გარეშე ემპოლიმ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა წააგო.

მიუხედავად ამისა, ქართველი ფორვარდის გუნდს ჯერჯერობით გავარდნა არ ემუქრება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი 2



შვეულად: 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 2. გამოძახილი ანუ....; 3. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ვიწრო, ღრმა ორმო; 5. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 6. ქართული სპორტული გაზეთი; 7. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 10. ზოდიაქოს ნიშანი; 11. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. საჭმელი სოკო; 21. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 24. აფრიკული ცხოველი.

თარაზულად: 1. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. პროვინციის მმართველი თურქეთში; 14. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 15. სოფლის პოლიციელი ძველად; 17. სუფთა გამარჯვება ჭიდაობაში; 20. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 22. გაზაფხულის თვე; 23. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 25. ნედლი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 26. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. საარჩევნო ფურცელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა